სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 6 ივნისი 2008 №128 (3352) ფასი 50 თეთრი

3 წლით პლზენში

დიმიტრი ტატანაშვილი იშვიათი რეალობაა

მოსალოდნელი ტრანსფერი გუშინ საბოლოოდ გაფორმდა: დიმიტრი ტატანაშვილი პლზენის „ვიქტორიას“ ფეხბურთელია.

თანამედროვე ქართული რეალობისთვის იშვიათი ფაქტიც: პლზენელებმა ტატანაშვილი ისე აიყვანეს, არც გაუსინჯავთ, ოდენ სამედიცინო შემოწმება გაატარეს.

საიდან გაიცვნეს ჩეხებმა ქართველი ფეხბურთელი?

შარშან ზაფხულში, როცა „ამერი“ ჩეხურ შეკრებაზე იმყოფებოდა, დიმიტრი ტატანაშვილმა ოთხი გოლი გაიტანა. ამათგან სამი გოლი ტატანაშვილმა „კლადნოს“ გაუტანა, მეოთხე კი სწორედ იმ „ვიქტორიას“, რომელშიც გადავიდა.

სხვათა შორის, რამდენიმე ჩეხურ კლუბს ტატანაშვილის გადაბირება მაშინვე სურდა...

ისიც გავიხსენოთ, რომ ტატანაშვილი ის ფეხბურთელია, საქართველოს თასის ბოლო სამ ფინალში სამი გოლი რომ აქვს გატანილი. ორი წლის წინ, „ამერი“ — „ზესტაფონის“ პირველ ფინალში მან პენალტების სერიაში შეასრულა მესამე დარტყმა; მარშან „ამერმა“ მისი ერთადერთი გოლით მოიგო; წლევანდელ ფინალში კი დიმიტრის გოლმა „ამერი“ ვეღარ იხსნა, ზესტაფონელებს იქამდე ორი ჰქონდათ გატანილი.

არანაკლებ საინტერესო ფაქტიც: ან გასრულებულ სეზონში დიმიტრი ტატანაშვილი ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზე გავიდა 13 გოლით, ხოლო მათი უმრავლესობა შეცვლაზე შესულმა გაიტანა.

სამწუხაროა, რომ საქართველო კიდევ ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ არსებულ რეალობაში ეს პრაქტიკულად გარდაუვალი პროცესია. ხოლო „ამერმა“, ჩვენი ინფორმაციით, ამ ტრანსფერის სანაცვლოდ, დაახლოებით 300 ათასი ევრო მიიღო. თანამედროვე ქართულ რეალობაში ესეც საკმაოდ დიდი თანხაა.

გიორგი დარჯანია

24 ევროსაათი

დიდი ფეხბურთი იქ, სადაც ჩვენ არ ვართ

სლავთა ფინალი შუა საფრანგეთში



დინარა საფინა



ანა ივანოვიჩი

ტატანაშვილის ვიქტორია

ალექსანდრე ტონია: ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გვინდოდა

ალექსანდრე ტონია: სამწლიანი კონტრაქტი უკვე გაფორმდა, თან ისე, რომ კლუბს ფეხბურთელის გასინჯვა არც მოუთხოვია, დიმამ მხოლოდ სამედიცინო შემოწმება გაიარა. ჩეხური შხარე მას ერთი წელია, აკვირდებოდა და მისი შესაძლებლობებიც კარგად იცოდნენ.

— ანუ, მოლაპარაკებისას პრობლემები არ გქონიათ...

— მოლაპარაკება რამდენიმე კვირას გაგრძელდა, საუბარი ფინანსურ და სხვა ტექნიკურ დეტალებს შეეხებოდა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ტატანაშვილის ტრანსფერით დაინტერესება ძალიან დიდი იყო, მოლაპარაკებებისას პრობლემები არ შეგვქმნია. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც გვინდოდა.

— თვითონ დიმა როგორ მიიღეს კლუბში?

— არ გადავაჭარბებ: როგორც ვარსკვლავი! ძალიან თბილად შეხვდნენ და მეტსაც გეტყვით, პლზენში უკვე იცოდნენ საქართველოდან ახალი ფეხბურთელის ჩამოსვლის შესახებ და დიმას ქომაგები ქუჩაშიც ცნობდნენ და აჩერებდნენ. ახლა დიმამ ნომერიღა უნდა აირჩიოს.

ამის მერე **დიმიტრი ტატანაშვილსაც** ვესაუბრეთ და, ბუნებრივია, მილოცვით დავიწყეთ...

— დიდი მადლობა, ძალიან კმაყოფილი ვარ, ტრანსფერი რომ გამოვიდა. ყველაფერი ისეა, როგორც მინდოდა.

— ალექსანდრე ტონიამ გვითხრა, დიმა ახლა სათამაშო ნომრის არჩევაზე ფიქრობს და რომელს აირჩევ?

— დიახ, კლუბმა თავად შემომთავაზა სასურველი ნომრის არჩევა და ჯერჯერობით ვფიქრობ. ალბათ, 18 ან 9 ნომერს ავირჩევ.

— ახალ გუნდში ვარჯიშს როდის იწყებ?

— ხვალ პირველი ვარჯიში მექნება, მაგრამ ზეგ რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვდივარ და 16 ივნისისთვის დავბრუნდები ჩეხეთში.

— ოფიციალური წარდგენა როდის გექნება?

— ხვალვე. დღესაც იყვნენ ჟურნალისტები მოსულნი, მაგრამ ოფიციალური პრეზენტაცია ხვალ მექნება.

ძახა შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათი შემთხვევა: ქართველი ფეხბურთელი ევროპულმა კლუბმა ისე აიყვანა, გასინჯვა საჭიროდ არ ჩათვალა. დიმიტრი ტატანაშვილი, ვინაც ბოლო სამი სეზონი „ამერში" გაატარა, იქამდე თბილისისავე „სპარტაკის" ფეხბურთელი იყო, კარიერის გასაგრძელებლად ჩეხეთში წავიდა და პლზენის „ვიქტორიასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ამერი" კი სანაცვლოდ, დაახლოებით 300 ათას ევროს მიიღებს, რაც, დაგვეთანხმებით, აქაური საზომებით გვარიანი თანხაა. გაუსინჯავადო, ვთქვით და, განვმარტოთ: ტატანაშვილს ჩეხები აქამდეც იცნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, დიმიტრის „ვიქტორიასთვის" გოლიც აქვს გატანილი. ეს ერთი წლის წინ მოხდა, „ამერის" ჩეხური შეკრებისას და პლზენელების გარდა, იმ შეკრებისას ტატანაშვილმა „კლადნოსაც" გაუტანა სამი გოლი. რამდენიმე ჩეხური კლუბი ტატანაშვილით მაშინვე დაინტერესდა, თუმც „ამერმა" თავდამსხმელის გასხვისება არ ისურვა. ხოლო ის, რომ ჩეხები ტატანაშვილით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი, გუშინდელმა ამბავმა დაადასტურა. გუშინვე, კონტრაქტის გაფორმების მერე, პლზენში ფეხბურთელის აგენტ ალექსანდრე ტონიას და თავად დიმიტრი ტატანაშვილსაც დავურეკეთ...

ელოდეთ სპარტაკში ახალ ახალგაზრდებს

არ გვინდა, სხვა გუნდებს ვაწყენინოთ, მაგრამ წინა სეზონის აუტსაიდერთა ზონაში ერთადერთი გუნდი, რომლის გავარდნაც დაგენანებოდა, ცხინვალის „სპარტაკი" იყო. ᲙᲝᲑᲐ ᲟᲝᲠᲟᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ გუნდს მაინც მოუწია ხლაფორთი პლეი ოფში და „გაგრას" ძლევით შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამავე დროს, „სპარტაკმა" თბილისის „დინამოს" გაჩემპიონებაშიც შეიტანა წვლილი — „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას" აართვა ქულები. ᲟᲝᲠᲟᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ განვლილ სეზონზეც ვესაუბრეთ და სამომავლო გეგმებზეც...



— ამჟამად გუნდი ისვენებს და რამდენიმე დღეში შევიკრიბებით. სავარაუდოდ, შეკრებას საქართველოშივე, ზღვისპირეთში გავივლით. თბილისში კი ისევ „მიხეილ მესხის" სტადიონის მიმდებარე მინდორზე ვივარჯიშებთ. კარგია, რომ სტადიონის დირექტორი გივი ჭანტურიძე ხელს გვიწყობს.

— რა ცვლილებები მოხდება შემადგენლობაში?

— ძირითადი ბირთვი შენარჩუნდება. ამ დროისთვის გუნდიდან ოფიციალურად არავინ წასულა, დამატებით კი... ვერ გეტყვით, „სპარტაკი" საბიუჯეტო გუნდია და რამდენად გაიზრდება დაფინანსება, მიჭირს ამაზე ლაპარაკი.

— გასულ სეზონზე რას იტყვით, მთლიანობაში როგორ შეაფასებთ „სპარტაკისთვის"?

— ჩემი ფეხბურთელების 80-მა პროცენტმა უმაღლეს ლიგაში პირველად ითამაშა. სეზონი რომ იწყებოდა, ფაქტობრივად, მაშინ შევიკრიბეთ. სელექციამ და ოპტიმალური ტაქტიკური სქემის მიგნებამ დრო წაიღო, ამიტომაც, პირველ წრეში უფრო გვიჭირდა. ზამთარში ორი წამყვანი ფეხბურთელი, დავით ჯანელიძე და ირაკლი ჩირიკაშვილი გამოგვაკლდა, რამაც დაღი დაგვასვა, თუმც მეორე წრეში გუნდი უკეთ გამოიყურებოდა, რადგან შედარებით მეტი დრო მოგვეცა მოსამზადებლად. საბოლოო ჯამში, უკმაყოფილი არ ვარ.

— „სპარტაკი" ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა, თუმცა ძალიან ცოტა გოლი გაჰქონდა...

— შეტევის ორგანიზებას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე უკანა ხაზისას. თავდასხმის შეთამაშება უფრო სპეციფიკურია, თანაც, ჩვენ არ ვართ გამოცდილი ფეხბურთელებით განებივრებულნი.

— გუნდიდან ფეხბურთელებს გამოარჩევთ?

— მეკარეები, მაქსიმე ქვილითაია და ბესო კოდალაევი ურიგოდ არ თამაშობდნენ. კი, ჰქონდათ შეცდომები, იგივე კოდალაევმა ჩააგდო „დინამოსთან" სათასო მატჩი, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე. დაცვაში კარგად იდგნენ რევაზ ქემოკლიძე და ბესიკ ხაჭიპერაძე, ნახევარდაცვაში ირაკლი ძარიას და თორნიკე თარხნიშვილს არ ვემდური, გიორგი ხიდეშელმა რამდენიმე საჭირო გოლი გაიტანა, ისევე, როგორც მამუკა ღონღაძემ. თუმც ყველა ფეხბურთელმა შეიტანა თავისი წვლილი, ბიჭები იბრძოდნენ და სწორ ფეხბურთსაც თამაშობდნენ, გამოცდილება კი აკლიათ.

— გიორგი თექთუმანიძეზე ცალკე გკითხავთ. მომავალ სეზონში მეტი დრო მიეცემა სათამაშოდ?

— არა მარტო თექთუმანიძეს, სხვა ახალგაზრდებსაც უფრო მეტი პრაქტიკა მიეცემათ. დღეს მათ არავინ იცნობს, მაგრამ ხვალ-ზეგ გამოჩნდებიან, თუ პოტენციალს დიდ შრომასაც მიაყოლებენ, ნამდვილად კარგ ფეხბურთს ითამაშებენ.

— მსაჯობით თუ ხართ კმაყოფილი?

— მათ ზეგავლენა არ მოუხდენიათ ჩემპიონატის ცხრილზე.

— და რაც შეეხება ჩემპიონატის დონეს?

— დაძაბულობამ თავისი ხიბლი შემატა ჩემპიონატს, თუმცა დონე მარტო ამით არ განისაზღვრება. პირობები გასაუმჯობესებელია — ძალიან ბევრ კლუბს უჭირს.

— არის შესაძლებელი, „სპარტაკში" ფინანსური წინსვლა მოხდეს?

— ვნახოთ. იმედია, ისეთ პირობებს მაინც შეგვიქმნიან, რომ მატჩების უკეთ გაანალიზების საშუალება მოგვეცეს. ანალიზს მარტო ტექნიკური თვალსაზრისით კი არა, ტაქტიკურადაც გავაკეთებდით, ფეხბურთელებს უკეთ გადავცემდი მასალას, შეცდომებს უფრო მკაფიოდ დავინახავდით...

ილია ნანოგაჟვილი

ᲓᲐᲜᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXIX ᲢᲣᲠᲘ

ᲝᲠᲐᲜᲣᲡ ᲤᲠᲔᲛᲐᲓᲘ 1:3 ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡᲙᲘ
ᲮᲕᲘᲓᲝᲕᲠᲔ 0:1 ᲙᲝᲚᲓᲘᲜᲒᲘ
ᲙᲘᲝᲒᲘ 0:0 ᲤᲠᲔᲛᲘ
ᲜᲔᲡᲢᲕᲔᲓᲘ 3:2 ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲡᲘᲐ
ᲘᲝᲚᲡᲢᲘᲙᲘ 0:2 ᲮᲔᲠᲤᲘᲝᲚᲒᲘ
ᲡᲘᲚᲙᲔᲑᲝᲠᲒᲘ 1:0 ᲮᲔᲚᲔᲠᲣᲮᲘ
ᲡᲙᲘᲕᲘ 2:0 ᲡᲝᲜᲓᲔᲠᲘᲘᲡᲙᲔ
ᲕᲘᲘᲚᲘ 5:1 ᲜᲘᲣᲙᲘᲝᲒᲘᲜᲒᲘ

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

ᲢᲘᲞᲔᲚᲘᲒᲐ. X ᲢᲣᲠᲘ

ᲕᲝᲚᲔᲠᲘᲜᲒᲐ 3:0 ᲮᲐᲛ ᲙᲐᲛᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

IX ᲢᲣᲠᲘ

ᲕᲐᲡᲑᲘ 0:1 ᲐᲜᲓᲔᲚᲰᲝᲚᲛᲡᲘ
ᲐᲡᲘᲠᲘᲡᲙᲐ 3:2 ᲐᲢᲕᲘᲓᲐᲑᲔᲠᲒᲘ
ᲰᲔᲙᲔᲜᲘ 2:1 ᲘᲝᲠᲒᲠᲘᲢᲔ
ᲚᲐᲜᲓᲡᲙᲠᲝᲜᲐ 0:0 ᲓᲔᲒᲔᲠᲤᲝᲠᲡᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

VI ᲢᲣᲠᲘ

ᲚᲝᲛᲔᲚᲘ 1:4 ᲐᲜᲢᲕᲔᲠᲰᲔᲜᲘ
ᲢᲣᲒᲘᲪᲔ 2:0 ᲮᲔᲕᲔᲠᲚᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲞᲐᲜᲐᲛᲐ 2:2 ᲙᲐᲜᲐᲓᲐ
ᲩᲘᲚᲔ 2:0 ᲒᲕᲐᲢᲔᲛᲐᲚᲐ
ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ 1:4 ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ზესტაფონის პრესსამსახურის ფოტოები

ზესტაფონი ევროპას ბაკურიანით იწყებს

რას იტყვის უეფა სკამის დანახვისას

საქართველოს ჩემპიონატი აგვისტოში განახლდება, თუმც ევროთასებზე გასული გუნდები უკვე იწყებენ მზადებას.

თასის მომგები „ზესტაფონი“ გუშინ ბაკურიანში წავიდა შეკრებაზე, მაგრამ არასრული შემადგენლობით — ბრაზილიელი ედსონ სანტოსის გარდა, ყველა ლეგიონერი სამშობლოშია და უახლოეს დღეებში დაბრუნდება საქართველოში.

იმერულ კლუბში ოჯარა დაუმთავრდა გაბონელ მცველ ერნესტ აკუასაგას და იგი რუსთავის „ოლიმპს“ დაუბრუნდება.

ბაკურიანში ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებასაც გაივლიან.

ამ შეკრებაზე ყურადღება ძირითადად ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. შემდეგ თემურ მახარაძე გუნდს ურეკში წაიყვანს, ბოლოს კი თურქეთში და საქართველოში საუეფასთასო მატჩებისთვის დაბრუნდებიან.

ზესტაფონში სტადიონის გასაკოხტავებლად გამალებული მუშაობაც მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, იმერული კლუბის ხელმძღვანელობას გულში ამოუჭრია, ევროთასზე შინ ითამაშოს და უეფამაც შანსი მისცა, გაარემონტეთ სტადიონი და ივნისის ბოლოს შევამოწმებთო. თუ მოიწონეს, ზესტაფონელთა წადილი ასრულდება...

ამჟამად სამუშაოებში ჩართულია როგორც ზესტაფონური, ასევე ქუთაისური სამშენებლო კომპანიები, უახლოეს დღეებში კი მათ ამ კარგი საქმის კეთებაში „ზესტაფონის“ გულშემატკივრებიც დაეხმარებიან. ტრიბუნებზე ოთხი ათასი ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდება, გარემონტდება გასახდელები, გაკეთდება თანამედროვე დონის პრესლოჟა... ყველა ხარჯს თავის თავზე კლუბის ხელმძღვანელობა აიღებს.

ნუკრი ლოლაძე

ზაზა ზამთარაძე და გიორგი კიკნაძე

ვაჟრამ დოლიძეგაბაშვილის ფოტო

ჩირიკაშვილი არის, სხვები იქნებიან

მოგეხსენებათ, ინტერტოტოს თასზე თბილისის „ლოკომოტივი“ ითამაშებს და დედაქალაქელებიც უკვე შეუდგნენ მზადებას.

გიორგი კიკნაძე შეგირდებს ჯერ ბურთს არ აკარებს, ორი დღეა, ვაკის პარკში ფიზიკურად ტვირთავს და რამდენიმე დღე ასე გაგრძელდება.

გუნდმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარა.

როგორც „ლოკომოტივის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ გვითხრა, გუნდთან ერთად ერთი ახალი ფეხბურთელი, ირაკლი ჩირიკაშვილი ვარჯიშობს, რომელმაც გასული სეზონი „ბორჯომში“ ჩაამთავრა. ზამთარაძის თქმით, უახლოეს დღეებში რამდენიმე ახალწვეულის ვინაობაც გაირკვევა.

„ლოკომოტივიდან“ ჯერ არავინ წასულა.

ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე თბილისელები ლუქსემბურგულ „ეტცელასთან“ პირველ მატჩს 21 ივნისს სტუმრად გამართავენ, შინ კი 28 ან 29 ივნისს ითამაშებენ.

ნუკრი ლოლაძე

დიას სამზადისი

ქართული საფეხბურთო სეზონი დასრულდა და საუკეთესო ფეხბურთელების გამოვლენის დროც დადგა.

დღეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართება, რომელიც „დია 2008“-ის დაჯილდოვებას მიეძღვნება.

„დიას“ ცერემონიალი 9 ივნისს, 18 საათზე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართება.

ნუკრი ლოლაძე

ბურდული შტურმს ელის

იენის „კარლს ცაისიდან“ წამოსული ილია კანდელაკი უკვე გრაცშია და დღეს „შტურმის“ ხელმძღვანელობას შეხვდება. როგორც შევიტყვეთ, დღესვე უნდა გადაწყდეს, რა ვადიანი კონტრაქტი გაფორმდება კლუბსა და ფეხბურთელს შორის, თუ მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ. ცნობილია ისიც, რომ კანდელაკი არანაირ გასინჯვას არ გაივლის ავსტრიულ გუნდში. მეორე ქართველი, რომლის ხილვაც ავსტრიელებს სურთ, ვლადიმერ ბურდული, ამჟამად თბილისშია.

ბურდულს ლუგანსკის „ზარიასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და მისი გაგრძელება თავად აღარ ისურვა. ლადოს გუშინ შევეხმიანეთ და გეგმებზე ვკითხეთ...

— ავსტრიულ „შტურმში“ შენი სავარაუდო გადასვლა რა სტადიაშია?

— მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმც როდის წავალ ავსტრიაში, ჯერ უცნობია. წესით, ყველაფერი ამ დღეებში უნდა გადაწყდეს.

— მოლაპარაკებებს ვინ აწარმოებს?

— ჩემი მენეჯერი, რომლის სახელს და გვარს ამჟამად ვერ გეტყვით.

— „ზარიასთან“ კონტრაქტი უკვე დაგიმთავრდა. შემოთავაზებები სხვა კლუბებიდანაც ხომ არ გაქვს?

— ორი უკრაინული კლუბია ჩემით დაინტერესებული, მაგრამ უფრო ევროპისკენ მინდა წასვლა, ან თუნდაც რუსეთში დაბრუნება. იქ გაცილებით მაღალი დონეა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ოლიმპი ძალას იკრებს

დავით გიგაური

ვაჟრამ დოლიძეგაბაშვილის ფოტო

რუსთავის „ოლიმპს“ ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელი უკვე შეიმატა — გიორგი მეგრელაძე, კოკა მიკუჩაძე, შოთა ბაბუნაშვილი, გაგა ჩხეტიანი და ლაშა ქებაძე. ასევე რუსთავულ გუნდს დაუბრუნდა გაბონელი ერნესტ აკუასაგა, რომელიც „ზესტაფონში“ იყო ოჯარით.

როგორც გუშინ „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა გვითხრა, თბილისის „მერანის“ მცველი დავით გიგაური ახალ სეზონს „ოლიმპში“ დაიწყებს.

გიგაურს თბილისელებთან კონტრაქტი აკავშირებს და რუსთაველები მას ოჯარით აიყვანენ.

ნუკრი ლოლაძე

ᲧᲔᲜᲘᲐᲡ ᲮᲐᲠᲘᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ვესტფალიის თასის ფინალში 19-წლამდელ გუნდებს შორის ერთმანეთს „შალკე“ და „დორტმუნდი“ შეხვდნენ.

დამატებით დროში შნაიდერის დუბლით თასი დორტმუნდელებმა მოიგეს.

„შალკეს“ შემადგენლობაში 115 წუთი ითამაშა ლევან ყენიამ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. ჩვენებურს მატჩის ბედის გადაწყვეტა ძირითად დროში შეეძლო, თუმც მისი დარტყმული ხარიხას მოხვდა.

5 წუთით ნაკლები ყენიამ იმიტომ ითამაშა, რომ მსაჯისგან წითელი ბარათი მიიღო.

მეორე გოლი დორტმუნდელებმა მისი გაძევების შემდეგ გაიტანეს.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲘ

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

„ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ თასის“ გათამაშების მეოთხედფინალში ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ, მათმა გუნდებმა კი იმძლავრეს და სამივე მათგანს ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი აქვთ.

ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა“ შინ 3:0 მოუგო „სუდუვას“, ჩვენებური მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა, ერთხელ გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

მეორე ლატვიურმა გუნდმა „სკონტომ“ კი სტუმრად 4:2 მოუგო „ჟალგირისს“. ქართველთაგან ძირითადში ვლადიმერ დვალიშვილი თამაშობდა, რომელიც მე-60 წუთზე შეცვალეს. დავით გამეზარდაშვილი თადარიგში იყო, ზაალ ელიავა კი განაცხადში რომ ვერ ხვდება, უკვე შეეჩვიეთ.

ლიტვურმა „კაუნასმა“ ასევე სტუმრად იმძლავრა „ეკრანასთან“ — 4:2, თუმცა ქართველების გარეშე. აკაკი ხუბუტიას ტრავმა აწუხებს, ნუკრი მანჩხავა კი თადარიგში დარჩა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲘ

ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ 2009

ᲚᲘᲢᲕᲣᲠᲘ „კაუნასიდან“ ბელორუსულ „მტზ-რიპო“-ში გადასულმა გივი კვარაცხელიამ ახალ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის ბოლომდე გააფორმა.

შეგახსენებთ, კვარაცხელია სამი სეზონის განმავლობაში თამაშობდა „კაუნასში“ და ორჯერ ლიტვის ჩემპიონიც. სამი სეზონის მანძილზე საყრდენმა ნახევარმცველმა 13-ჯერ მოახერხა გოლის გატანა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა.

მოულოდნელად, კლუბმა ჩვენებურის გასხვისება გადაწყვიტა, თუმც გივის ხელმძღვანელობა ნამდვილად არ შეცვლია — „კაუნასი“ და „მტზ-რიპო“ ერთი პიროვნების, ვლადიმირ რომანოვის საკუთრებაა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲘ

„დინამო თბილისის“ საფეხბურთო აკადემია 7-8 ივნისს 11.00 — 12.00 საათებში დიღმის საწვრთნელ ბაზაზე აცხადებს 1992-1995 წლებში დაბადებულ ბავშვთა შერჩევას.

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: 52-20-76, 877 49-55-04, 893 28-51-07, 899 26-30-01



ᲒᲘᲠᲩᲘ ᲛᲘᲠᲪᲮᲐᲕᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲯᲐᲑᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ: ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲛᲔᲪᲔᲛᲐ ᲨᲐᲜᲡᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲝᲗ

თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“ ყოველწლიურად ჩნდება, სულ მცირე, ერთი ახალი ფეხბურთელი, რომლის გამორჩევა მინდორზე ადვილად შეიძლება — იგრძნობ, აი, ესა თუ ის ლიდერი წავა გუნდიდან, მის ნაცვლად ეს ახალგაზრდა ბიჭი ითამაშებს და ნაკლები არ იქნებაო. ამ სეზონში ვიტელთა ამგვარი აღმოჩენა ᲯᲐᲑᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ გახლდათ.

ლიპარტია 20 წლის შემტევია, ორივე ფლანგზე თამაშობს და მეორე ფორვარდობაც შეუძლია. ტექნიკური, ციბრუტივით მოტრიალე ბიჭია: რამდენჯერ იყო მეორე წრეში, შეცვლაზე შევიდა და ძალიან გაამწვავა ვიტელთა თამაში... ჯაბა ზუგდიდშია დაბადებული, „ოდიშის“ ბავშვთა გუნდში იყო, მერე მისი ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ბიჭი „ნორჩ დინამოელში“ აღმოჩნდა...

„ჩემი პირველი მწვრთნელი გერონტი ნაჭყებიაა, „ნორჩ დინამოელში“ კი ჯერ გელა გომელაურთან, მერე კი ზორბეგ ებრალიძესთან ვიყავი. მერე „ვიტ ჯორჯიას“ ფარმკლუბ „საგარეჯოში“ ვიყავი, საიდანაც „ვიტ ჯორჯია 2“-ში გადავედი, ხოლო ამ სეზონში ძირითად გუნდში ვარ“ — გვითხრა ლიპარტიამ.

ჯაბას ვიტელთა მთავარ გუნდში დამკვიდრება გუნდის 14-მატჩიან მოგებათა სერიას დაემთხვა. „მწვანეებს“ ჩემპიონობის შანსიც გაუჩნდათ, თუმც „დინამოსთან“ ფრემ თითქმის გადაუწურათ იმედი და საბოლოოდ, მეორე ადგილი და უეფას თასის საგზური ირგუნეს...

„ალბათ, ძალა აღარ გვეყო, თორემ ილბალი არაფერ შუაშია. „დინამოსთან“ ვერმოგებამ იმედი გაგვიცრუა. „ვიტ ჯორჯიას“ ნამდვილად შეუძლია, უეფას თასზე ერთი ეტაპი გაიაროს — შეკრული, ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი ვართ. უცხოურ გუნდებთან თამაშის დიდი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ რაც თურქულ შეკრებაზე ვნახე, ბელარუსის თუ ყაზახეთის კლუბებს არაფრით ჩამოვუვარდებით, არც ტექნიკა აქვთ უკეთესი და არც ჭკუა. ეგაა, საგოლე მომენტების გამოყენებაში მოვიკოჭლებთ“.

ლიპარტია საკუთარ პლუსზე გვითხრა, ბურთს ვფლობ კარგადო, დასახვეწი კი ძალიან ბევრი რამ მაქვს, ვარჯიშებზე ვცდილობ ყველაფრის სწავლასო, ჯაბამ მეორე წრეში სამი გოლი გაიტანა და უფრო მეტი საგოლე პასი გააკეთა.

„უმეტესად შეცვლაზე მიწევს თამაში, მაგრამ იმედი მაქვს, ძირითადშიც მალე დავიმკვიდრებ ადგილს. მიჭირს თქმა, რომელი იყო ჩემთვის საუკეთესო მატჩი გასულ სეზონში, მაგრამ მაინც ვიტყვი: „ოლიმპთან“ სტუმრად“.

ლუკა რაზმაძე და გიორგი მელქაძე — ლიპარტიამ „ვიტ ჯორჯიადან“ ეს ორი ფეხბურთელი გამოჰყო, ხოლო თავისთვის ყველაზე უხერხულ მცველად დინამოელ გურამ კაშიას მიიჩნევს, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ მატჩში ყველაზე კარგად იდგა დაცვაშიო.

11 ივნისს „ვიტ ჯორჯია“ ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს, თვის ბოლოს კი უეფასისიწინა უცხოური შეკრება იგეგმება — გერმანიაში ან ავსტრიაში.

„ცდას არ დავაკლებ, რათა „ვიტ ჯორჯიაში“ უფრო ყოჩაღად ვითამაშო, მერე კი, იმედია, ახალგაზრდულ ნაკრებშიც მომეცემა შანსი“.

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲜᲟᲘᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲗᲛᲝ

ᲗᲔᲗᲠᲐᲫᲔᲛ ᲐᲠᲖᲘᲐᲜᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲔᲣᲪᲕᲐᲚᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ პირველი დივიზიონში ვერ მოიგო მახაჩყალის „ანჟიმ“ და პირველობაც დაკარგა. დაღესტნელები შინ 1:1 ეთამაშნენ „ურალს“ და „როსტოვს“ გადასწრების უფლება მისცეს.

ქართველთაგან სასტარტოში ოთხნი იყვნენ — ვალერი აბრამიძე, ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა და მიხეილ აშვეთია, რომელიც 54-ე წუთზე შეცვალეს.

ხოჯავა მატჩის საუკეთესო სამ მოთამაშეს შორის დაასახელა „სპორტ-ექსპრესმა“. დაღესტნური კლუბის ვებგვერდის ცნობით კი, აბრამიძესა და აშვეთიას გამარჯვებით გოლების გატანა შეეძლოთ.

ნამატჩევს ომარ თეთრაძე რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის შეეხო: „არზიანმა დისკვალიფიცირებული აგალაროვის ადგილზე ითამაშა. მასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მატჩი ღირსეულად ჩაატარა, თუმცა ბოლოს დაიღალა და მოედანზე კი არ დარბოდა, დადიოდა. ეს მისთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშის ბრალი მგონია. არც თადარიგში მყავდა ისეთი ფეხბურთელი, დაღლილ არზიანს რომ შეცვლიდა... რაც შეეხება გიორგი ნავალოვსკის, იგი საქართველოს ნაკრებიდან ტრავმირებული დაგვიბრუნდა. მისი უახლოეს მატჩებში გვეიმედება“ — აღნიშნა თეთრაძემ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲘ

ომარ თეთრაძე

კუნძულზე კაცი დაძუნძულებდა

ესპანეთი 1:0 აშშ

1:0 ხავი (78)

ესპანეთი: კასილასი, მარჩენა, პუიოლი, კაპდევილა (ნავარო 51), სერხიო რამოსი, ხავი, ხაბი ალონსო (სენა 46), ფაბრეგასი (არბელოა 83), კასორლა, დავიდ სილვა (დე ლა რედი 56), ფერნანდო ტორესი (გუისა 46)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: სოკოლ იარეკი (ალბანეთი)

15 000 მაყურებელი

ლუის არაგონესმა თქვა, რომ მისმა ნაკრებმა პირველ ტაიმში ცუდად ითამაშა და მსგავსი რამ ევროპის ჩემპიონატზე არ უნდა განმეორდეს.

დავიდ ვილიამ მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა და ფერნანდო ტორესს მეწყვილე სილვამ ვილიაობა ვერ გაუწია. გოლი კი ხავიმ შეაგდო — ოთხ მცველს აჯობა და მეკარესთან პირისპირ გასულმა გაიტანა.

„პირველი ტაიმის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ტორესი სადღაც კუნძულზე მარტო იყო — განაცხადა მწვრთნელმა — ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. ამერიკელები ჯანითაც და სისწრაფითაც სჯობნიდნენ. ამის გამო საგოლე შანსი თითქმის არ გვქონია და მაღალ ტემპშიც ვერ ვითამაშეთ.

შესვენების შემდეგ ფლანგები უკეთესად გამოვიყენეთ. ფაბრეგასმა და სანტი კასორლამ გამორჩეულად კარგად ითამაშეს, მეტოქე დაიღალა და შედეგად გამარჯვება მოვახერხეთ“.

ესპანეთის ნაკრებმა წაუგებელ მატჩთა სერია 16-მდე გაზარდა, მწვრთნელმა კი ბრძანა:

„ეროვნული გუნდისთვის ისე რა თამაშები არ არსებობს. ამ მატჩმა დამანახა, რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაშია ფიზიკურად თუ ტაქტიკურად“.

„მთავარია, რომ არავინ დაშავდა — თქვა ფერნანდო ტორესმა, რომელიც მეორე ტაიმში გუისამ შეცვალა — თავში ყველას რუსეთთან მატჩი გვიტრიალებდა და ალბათ ამი ტომ არ გამოგვივიდა კარგი პირველი ტაიმი“.

ვაჟა ხუციშვილი

ჩემი შენი ვერ გაიგო

დანილიავიჩუსმა რუსული არ იცის

რუსეთი 4:1 ლიტვა

0:1 სავენასი (24), 1:1 ზირიანოვი (33), 2:1 არშავინი (52), 3:1 პავლიუჩენკო (64), 4:1 ბისტროვი (80)

რუსეთი: მალაფეევი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი (იანბაევი 15), ვ. ბერეზუცკი, კოლოდინი (შიროკოვი 51), ზირიანოვი (სემშოვი 47), სემაკი (ბილიალეტდინოვი 48), ტორბინსკი, სიჩევი (ბისტროვი 55), არშავინი, ადამოვი (პავლიუჩენკო 46)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ტორბინსკი, დედურა, ვ. ბერეზუცკი

მსაჯი: პეტერ ზიპელი (გერმანია)

2 850 მაყურებელი

ლიტველთა განადგურებას წერტილი ვლადიმირ ბისტროვმა დაუსვა

რუსეთა ნაკრებმა ზედიზედ მესამე ამხანაგური მატჩი მოიგო, თუმც არც მეტოქეები ჰყოლია ფიფას რეიტინგის ზედა ხუთეულიდან — ჯერ ყაზახებს სძლიეს, მერე სერბებს და ჩემპიონატისთვის მზადება ბურგჰაუზენში, ლიტვასთან შეხვედრით დაასრულეს.

გუს ჰიდინკმა შვიდი კაცი შეცვალა სერბეთთან ნათამაშები შემადგენლობიდან და ერთი ცვლილება პაველ პოგრებნიაკის ტრავმით იყო გამოწვეული. რუსეთს მეკარე გაბულოვიც დაშავებული ჰყავს, ლიტვასთან კი მცველი ალექსეი ბერეზუცკი მეთოთხმეტე წუთზე მოედნიდან გასაყვანი გახდა - — დანილიავიჩუსმა იდაყვით წარბი გაუხეთქა.

აქვე ვთქვათ, რომ ნოემბრის შემდეგ ნაკრებში პირველად ითამაშა ანდრეი არშავინმა.

„კარგი მატჩი გამოვიდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მეტოქე ფეხბურთელები იდაყვებს ძალიან მაგრად იქნევდნენ .— თქვა წარბგახეთქილის ძმამ ვასილიმ — თამაშამდე ვთხოვეთ, უხეშობა არ იყოსთქო, მაგრამ ზოგმა, ეტყობა, ვერ გაიგო“.

გუნდის კაპიტანმა სერგეი სემაკმა განაცხადა:

„საწყის ოც წუთში თამაში არ გამოგვივიდა, რაც ვარჯიშებზე დიდი ფიზიკური დატვირთვების ბრალია. მერე კი გახურდა კუნთები და ოთხი გოლიც გავიტანეთ. დაცვაში რამდენიმე შეცდომის გამო, გულშემატკივრებს ვთხოვ, ნუ ინერვიულებენ. უფრო ძლიერ გუნდთან უკეთესად ვითამაშებთ“.

გუს ჰიდინკი: „ამ მატჩში შანსი მივეცი რამდენიმე ფეხბურთელს, რომლებსაც იშვიათად ვათამაშებ. მინდოდა, პრაქტიკა მიეღოთ. ბევრი შეცდომები გვქონდა და გამოსასწორებლად დიდი შრომა მოგვიწევს.

ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვებას ნუ გავაბუქებთ და რეალისტებად დავრჩეთ. შეიძლება, დიდი სხვაობით მოიგო, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი აჩვენო და შეიძლება, რომ 0:1 წაგებულ მატჩში გუნდის პროგრესი შეიმჩნეოდეს“.

ვაჟა ხუციშვილი

ძამბროტას ფიქრები



„მილანის“ ახალწვეული ჯანლუკა ძამბროტა გახარებულია „როსონერიში“ გადასვლით და სამომავლო გეგმებს აწყობს.

„ბოლომდე დავიხარჯები და რაც შემეძლება, გავაკეთებ, რათა „მილანთან“ ერთად ყველაფერი მოვიგო. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რომ სამშობლოში ვბრუნდები და მომავალ სეზონს კვლავ სერია A-ში გავატარებ, თან ისეთი კლუბის მაისურით, როგორიც „მილანია“. აქ გადმოსვლის შანსი ორჯერ მქონდა და ეს ტრანსფერი შედგა კიდეც. „მილანს“, რამდენიმე წელია, სკუდეტო არ მოუგია და მომავალ სეზონში ჩემი მთავარი მიზანიც იტალიის ჩემპიონობა იქნება“ — თქვა 31 წლის ძამბროტამ.

გიორგი ძაძაბაძე

AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC
The Perfect Experience

UEFA EURO2008
Austria-Switzerland

ტექნიკა სახლისთვის
სიამოვნება შენთვის

ამერიტექი AMERITECH

აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC–თან ერთად“ მონაწილე!

აქციის I: ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech–ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008–ის და JVC-ის სიმბოლიკით.

აქციის II: დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10–ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ–ერთი.

აქციის III: დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარულ სპორტ კაფემი ევრო 2008–ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ჩეკი = 1 გოლი

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა–ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ნინოშვილის 13-15, ტელ.: 31 32 52

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. საბერძნეთი

მეფე ოტო და მოქმედი ჩემპიონები

ევროპის მოქმედ ჩემპიონ საბერძნეთს, ცხადია, ტიტულის დაცვა უნდა. ბუნებრივია, ბერძნებს დიდად სერიოზულად არ უყურებენ და ფავორიტად არ მიიჩნევენ, მაგრამ 2004 წელსაც ასე იყო და როგორ დამთავრდა მაშინ ყველაფერი, კარგად იცით. იმ და ამ ნაკრებებს შორის კი თითქმის არანაირი სხვაობა არ არის.

შესარჩევი ეტაპი ბერძნებმა კარგად გაიარეს. მათ 31 ქულა მოაგროვეს, ამდენი ქულისთვის სხვა არც ერთ ნაკრებს არ მოუყრია თავი.

ცოტა ხნის წინ რეჰაგელმა საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. მისი კვლავ ძალიან ეიმედებათ და გერმანელი სპეციალისტისგან მორიგ სასწაულს ელიან. „მეფე ოტო“ სექტემბერში 70 წლის გახდება. ბერძნების ჯგუფშივე მყოფი ესპანეთის თავკაცთან ლუის არაგონესთან ერთად იგი ევრო 2008-ის ყველაზე მხცოვანი ტაქტიკოსია.

ოტო რეჰაგელი

რეჰაგელმა, რომელსაც ტიტულები არ აკლია, გამარჯვებისკენ მიმავალი გზა კარგად იცის. ბოლო პერიოდში იგი ბერძნებს კლასიკური 4-4-2-ით ათამაშებს. ოთხივე ნახევარმცველი უფრო დაცვაზე და ჩაშლაზეა ორიენტირებული, ვიდრე შეტევასა და შექმნაზე. ასე რომ, საბერძნეთის დაცვის გარღვევა ადვილი როდია.

ბერძნების გამორჩეული მოთამაშე სიტირიოს კირიაკოსია, რომელმაც ევრო 2004 ტრავმის გამო გამოტოვა. მის დასახასიათებლად ორი მაგალითის მოყვანაც კმარა — ნორვეგიასთან შესარჩევი ეტაპის მატჩში აყლაყუდა ცენტრალურმა მცველმა დუბლი გაახერხა და საჰაერო ორთაბრძოლების 90 პროცენტზე მეტი მოიგო.

საბერძნეთში კირიაკოსი მეორე სახელიან ცენტრალურ მცველზე, ტრაიანოს დელასზე პოპულარულია. მათი საერთო სიმაღლე 3,89 მეტრია. ამ მხრივ ისინი მხოლოდ გერმანელების დაცვის ცენტრის წყვილს, პერ მერტეზაკერსა და კრისტოფ მეცელდერს ჩამორჩებიან.

სიურპრიზისა რა მოგახსენოთ, ბერძნები ორგანიზებულ, გუნდურ ფეხბურთს თამაშობენ, ყველას თავისი ადგილი აქვს და მათგან განსაკუთრებულ სიახლეებსა თუ ფანტაზიურ თამაშს არ უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ ნაკრებში აღარ არის თეო ზაგორაკისი.

ცოტა მოულოდნელი იყო განაცხადში „ოფი კრეტას“ მეკარის ალექსანდრო ცორვასის მოხვედრა. თუმცა ძნელად სავარაუდოა, ბერძნები ისეთ ფორსმაჟორში ჩაცვივდნენ, რომ მას თამაში მოუხდეს. ნაკრებს ხომ უბერებელი ანტონის ნიკოპოლიდისი და ასევე კოსტას ხალკიასი ჰყავს.

მთავარი პრობლემა კრეატიული მოთამაშის არყოლაა. როგორც აღვნიშნეთ, რეჰაგელის შეგირდებს ფანტაზია აკლიათ და შეტევების ორგანიზატორი არ ჰყავთ. ანგელოს ბასინასი, კონსტანტინოს კაცურანისი, გეორგიოს კარაგუნისი და სხვანი, ჩაშლაში უკეთესები არიან. ფორვარდები კი ერთმანეთს, შესაძლოა, თვალდახუჭულნი უგებდნენ, მაგრამ იერიშების წამოწყება ნაკლებ ეხერხებათ.

სწორედ ასეთი, ფანტაზიითა და შექმნის ნიჭით დაჯილდოვებული ფეხბურთელია „პანათინაიკოსის“ აღზრდილი სოტირის ნინისი. ამ ნახევარმცველს ნაკრებში სადებიუტო მატჩში გოლის გასატანად მხოლოდ 5 წუთი დასჭირდა. ფანები მისით აღფრთოვანებულნი იყვნენ, მაგრამ რეჰაგელმა ახალგაზრდული ნაკრების ვარსკვლავი ავსტრია-შვეიცარიაში მაინც არ წაიყვანა. ბერძნების მთავარი დანაკლისიც ალბათ სწორედ ისაა. სავარაუდოდ, „მეფე ოტოს“ ნინისის განაცხადს მიღმა დატოვებას არაერთხელ შეახსენებენ.

სხვათა შორის, 2004 წელს ბერძნებმა ფინალში მასპინძელ პორტუგალიას მოუგეს, ისევე, როგორც გახსნის მატჩში. პორტუგალიის გარდა, საბერძნეთს ჯგუფში ესპანეთი და რუსეთი ჰყავდა...

ესპანეთი, რუსეთი და საბერძნეთი კვლავაც ერთად არიან. ოღონდ მეოთხე ნაკრები შვედეთია და არა პორტუგალია. შეგახსენებთ იმასაც, რომ ევრო 2004-ზე რეჰაგელის შეგირდებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს, ჯგუფური ეტაპის მესამე შეხვედრა რუსეთთან (1:2), როცა მეოთხედფინალის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდათ.

„ევროპის მოქმედი ჩემპიონები ვართ და ჩვენი დამარცხება ყველას უნდა, თუმცა საბრძოლველად მზად ვართ“ — თქვა რეჰაგელმა.

გიორგი ძაძაბაძე

სოტირის კირიაკოსი
და იოანის ამანატიდისი

პრის ასეთი ქვეყანა

როგორ შეიძლება, ქვეყანა ასე მართლმადიდებლური და რადიკალურად ქრისტიანული იყოს, როცა წარსულში ერის გონებას ზევსის კაპრიზული პანთეონი მართავდა? თურმე შეიძლება, რადგან დროს ზევსის დამარცხებაც შესძლებია, საბერძნეთის ისტორიის პირველი წლებიდან დღემდე კი იმხელა დრო გავიდა და ატიკა-პელოპონესის მიწაზე იმდენმა საბრძოლო დროშამ ჩაიარა, რომ ერის ასეთი მეტამორფოზა სულაც არაა გასაკვირი. რაც თურქებმა ბიზანტია შუა საუკუნეების რუკიდან წაშალეს, მას მერე ბერძენთა თვითიდენტიფიკაციის მძლავრ იარაღად იქცა ქრისტიანობა. და ზევსი? ის და მისი კანონიერი თუ უკანონო შვილები ისედაც მივიწყებულნი იყვნენ და მერე ხომ საერთოდ ვილას გაახსენდებოდა, ქვეყანა გასათავისუფლებელი იყო.

საბერძნეთი 1821 წელს გამოეხსნა ოტომანთა იმპერიას. მანამდეც და მერეც ბერძნები დადიოდნენ და დადიან ათონის მთაზე სალოცავად და ისწავლეს თანამედროვეობასთან ჰარმონიაში ცხოვრება, მაგრამ არც მათ და არც ევროპას არ ავიწყდება მათ წარსული, თუ სად დაირწა ევროპული კულტურის აკვანი. დემოკრატიის, დასავლური ფილოსოფიის, დასავლური ლიტერატურის, დრამატურგიის, ისტორიოგრაფიის, მათემატიკის, პოლიტოლოგიის და კიდევ მრავალი „გრაფიის“ თუ „ლოგიის“ მშობელი ძველი ბერძნების მემკვიდრეებს საამაყო ძაალიან ბევრი აქვთ და კიდეც ამაყობენ. და ძალიან სწყინთ, როცა ათენში მუხლის გასაშლელად თუ სავაჭროდ ჩასული უცხოელები აკროპოლისის სვეტებს მხოლოდ ნანგრევებად აღიქვამენ. 23 საუკუნის წინ დღისით-მზისით ხელში სანთლით მოსიარულე დიოგენემ იქნებ ამ სვეტებშიც შეიარა? ჩემი სუბიექტური აზრით, მარტო ამ კაცის გამო უნდა მიაგო ერს პატივი.

ისე, ჩვენ კი მოგვტაცეს ოქროს საწმისი და...

ირაკლი ფირაზვილი

მეკარეები

1	ანტონის ნიკოპოლიდისი	ოლიმპიაკოსი	14.01.71
12	კოსტას ხალკიასი	არისი	30.05.74
13	ალექსანდროს ცორვასი	ოფი	12.08.82

მცველები

2	იურკას სეიტარიდისი	ატლეტიკო, ესპანეთი	04.06.81
3	ხრისტოს პაცაცოღლუ	ოლიმპიაკოსი	19.03.79
4	ნიკოს სპიროპულოსი	პანათინაიკოსი	10.10.83
5	ტრაიანოს დელასი	აეკ	31.01.76
11	ლუკაშ ვინტრა	პანათინაიკოსი	05.02.81
15	ვასილის ტოროსიდისი	ოლიმპიაკოსი	10.06.85
16	სოტირის კირიაკოსი	აინტრახტი, გერმანია	23.07.79
18	იოანის გუმასი	პანათინაიკოსი	24.05.75
19	პარასკევას ანცასი	ოლიმპიაკოსი	18.08.76

ნახევარმცველები

6	ანგელოს ბასინასი	მალიორკა, ესპანეთი	03.01.76
8	სტელიოს იანაკოპულოსი	ბოლტონი, ინგლისი	12.07.74
10	გეორგიოს კარაგუნისი	პანათინაიკოსი	06.03.77
14	დმიტრიოს სალპინგიდისი	პანათინაიკოსი	10.08.81
21	კონსტანტინოს კაცურანისი	ბენფიკა, პორტუგალია	21.06.79
22	ალექსანდროს ციოლისი	პანათინაიკოსი	13.02.85

თავდამსხმელები

7	გეორგიოს სამარასი	სელტიკი, შოტლანდია	21.02.85
9	ანგელოს ხარისტიასი	ნიურნბერგი, გერმანია	09.02.80
17	თეოფანის გეკასი	ლევერკუზენი, გერმანია	23.05.80
20	იოანის ამანატიდისი	აინტრახტი, გერმანია	03.12.81
23	ნიკოს ლიბეროპულოსი	აეკ	04.08.75

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი (69)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. შვედეთი

ამისგან ხეირს ნუ ელი

მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლოსანი (1958) და ორგზის (1950, 1994) ბრინჯაოსანი შვედეთი ასეთივე წარმატებით ევროპის ჩეპიონატებზე ვერ დაიტრაბახებს.

ისევე, როგორც ახლა ავსტრიამ, შვედეთმაც მანამდე ვერ ითამაშა ევროჩემპიონატზე, სანამ 1992 წელს მასპინძლობა არ ერგო და დებიუტანტმა მაშინ ნაწევარფინალს უწია, სადაც გერმანიასთან დამარცხდა.

მომდევნო (1996) ტურნირზე შვედები ვერ გავიდნენ, 2000-ში ჯგუფში ჩარჩნენ, ხოლო 2004 წელს, პორტუგალიაში, მეოთხედფინალში ჰოლანდიასთან პენალტებით დამარცხდნენ.

ევრო 2008-ის საგზური სკანდინავიელებმა ბოლო ტურში ლატვიასთან მატჩით (2:1) გაინაღდეს, შესარჩევი ეტაპი კი ზედიზედ ოთხი მოგებით დაიწყეს.

შარშან მარტში სტუმრად ჩრდილოეთ ირლანდიასთან წააგეს, მერე კი დანიასთან ტექნიკური მოგება მიითვალეს. კოპენჰაგენში ამ გუნდების მატჩისას (3:3-ზე), მოედანზე მასპინძელთა ქომაგი შევარდა და მსაჯის მიბეგვა მოინდომა, რადგან არბიტრმა დანიელთა კარში პენალტი დანიშნა. თამაში შეწყდა და დანიას 0:3 წაგება ჩაეთვალა.

შვედებს ევროჩემპიონატის საგზურის მოპოვება შესარჩევის დასრულებამდე ორი ტურით ადრეც შეეძლოთ, მაგრამ შინ ჩრდილოირლანდიელების დამარცხება ვერ მოახერხეს, მერე კი ესპანეთში 0:3 წააგეს.

საკვირველია, რომ იბრაჰიმოვიჩს 10 საკვალიფიკაციო მატჩში ერთი გოლიც არ გაუტანია, „ინტერის“ მაისურით კი იტალიის ჩემპიონატში 17 შეაგდო. ევრო 2004-ზე ზლატანმა ორი გოლი მიითვალა. ერთი ბულგარეთთან პენალტით, მეორე და არაჩვეულებრივი — იტალიასთან, რის გამოც „იბრაკადაბრა“ შეარქვეს.

აქვე გავიხსენოთ, რომ ევროპის პორტუგალიურ ჩემპიონატზე მეოთხედფინალში პენალტების სერიისას ჰოლანდიასთან ვერ გაიტანა და შვედეთი ამიტომ დამარცხდა.

ერთ-ერთმა შვედურმა სააგენტომ გამოკითხვა ჩაატარა გულშემატკივრებში და 14 ათასი კაციდან 24-მა პროცენტმა თქვა, რომ იბრაჰიმოვიჩისგან ამ ჩემპიონატზე ხეირი არ იქნება.

2006 წლის სექტემბერში, ლიხტენშტაინთან შესარჩევ მატჩამდე შეკრებისას, „იბრა“, ვილჰელმსონი და მელბერგი ბაზიდან ღამის კლუბში წაბრძანდნენ და გვიან დაბრუნდნენ.

მწვრთნელმა ლარს ლაგერბაკმა სამივე მოქეიფე შეკრებიდან დაითხოვა. მელბერგმა და ვილჰელმსონმა მოიბოდიშეს, იბრაჰიმოვიჩი კი გაჯიუტდა და ისლანდიასთან და ესპანეთთან მომდევნო მატჩებისთვის ნაკრებში თამაში იუარა. მერე, თებერვალში ეგვიპტესთან ამხანაგურიც გამოტოვა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ მოლბა და 2007-ის მარტში ისლანდიასთან ითამაშა. იბრაჰიმოვიჩმა უგოლოდ კი ჩაატარა შესარჩევი, მაგრამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მაინც რჩება 36 წლის ჰენრიკ ლარსონთან ერთად.

ლარსონი ორჯერ დაემშვიდობა ნაკრებს და ორჯერვე დაბრუნებაზე დაიყაბულეს. სანაკრებო კარიერა პირველად 2002 წელს დასრულა, მაგრამ ევრო 2004-სთვის ისევ უხმეს და პორტუგალიაში ოთხ მატჩში სამი გოლი შეაგდო. მას მსოფლიოს სამ (1994, 2002, 2006) და ევროპის ორ (2000, 2004) ჩემპიონატზე გაუტანია. 2006 წლის ივლისში ლარსონი ეროვნულ გუნდს მეორედ დაემშვიდობა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ლარს ლაგერბაკმა კვლავ ვაჭრობა დაუწყო დაბრუნებაზე. საბოლოოდ, ერთი თვის წინ, მაისის დასწყისში, ფორვარდმა დასტური თქვა და მესამედ ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე.

შვედთა თავკაცი ლარს ლაგერბაკი გუნდში 1997 წლიდან მუშაობს. თავიდან მთავარი მწვრთნელის, ტომი სოდერბერგის ერთ-ერთი თანაშემწე იყო, 2000-ში კი მეორე კაცი გახდა და ერთად გუნდი ჯერ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე, მერე კი ევრო 2004-ზე გაიყვანეს.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სოდერბერგი წავიდა და ლაგერბაკი მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. უკვე გამოცდილმა კაცმა, ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ათამაშა და აგერ ავსტრია-შვეიცარიისკენაც გზა გაიკვალა. ლარს ლაგერბაკმა ნაკრებს 11 წელი შეალია და ევრო 2008-ის შემდეგაც გუნდში დარჩება.

შვედეთი ზედიზედ მეხუთედ ითამაშებს დიდ ტურნირზე და მწვრთნელი ნაცად ტაქტიკას ალბათ არ უღალატებს. ლარსონის დაბრუნებამ გუნდის შემტევი ხაზი უფრო გააძლიერა. ძირითად შემადგენლობაში იბრაჰიმოვიჩი და ლარსონი იქნებიან, მარკუს ოლბაკი, იოჰან ელმანდერი და მარკუს როზენბერგი — სათადარიგონი.

ნახევარდაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, სებასტიან ლარსონი და კალსტრიომი ითამაშებენ, ფლანგებზე კი ლიუნგბერგი და ვილჰელმსონი.

დაცვაში გამოცდილი, 30 წელს გადაცილებული ოთხეულია: ნილსონი, ჰანსონი, მელბერგი და ალექსანდერსონი.

ლარს ლაგერბაკის მთავარი პრობლემა მეკარეა, რადგან ანდრეას ისაკსონს „მანჩესტერ სიტიში“ სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა.

შვედებმა წლეულს ექვსი ამხანაგური მატჩი გამართეს: კოსტა რიკას და სლოვენიას ერთნაირი ანგარიშით (1:0) მოუგეს, ბრაზილიასთან და უკრაინასთან ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ, აშშ-სთან 0:2 წააგეს და თურქეთს უგოლოდ დაუზავდნენ.

ვაჟა ხუციშვილი

ლარს ლაგერბაკი

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

პრის ასეთი ქვეყანა

მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, სხვადასხვა ფერის არმიები, რეპრესიები, დეპრესიები და ასეთი მამაძაღლობები სულ არ დასჭირვებია შვედეთს, თავის საზღვრებში კომუნიზმი რომ გაემართა, ოღონდ ჩვენთვის ამ დაწყევლილი სიტყვის მხოლოდ და მხოლოდ კარგი გაგებით. იმას, რასაც კაპიტალიზმის წინააღმდეგ შთაგონებული სახეებით ამხედრებული „ბელადები“ ძალით ატენიდნენ ჯერ მსოფლიოს ერთ მეექვსედს, შემდეგ კი ლამის მთელ მსოფლიოს, შვედეთმა მათი სისხლიანი მეთოდების და ვითომ ჭკვიანური ნაბოდიალების გარეშე მიაღწია — შექმნა ქვეყანა, სადაც ყველას ყველაფერი აქვს და ყველასთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია — შექმნა კომუნიზმი კაპიტალიზმში, შექმნა უსისხლოდ, მართლა შრომით და მართლა ჭკვიანურად.

და აღარავის ახსოვს, რომ შუა საუკუნეებში შვედები სისხლის ზღვაში აბანავებდნენ მთელს ჩრდილოეთ ევროპას. ძველი ვიკინგები ომს ჯერ კიდევ გასულ, 20-საუკუნემდე გადაეჩვივნენ, მეორე მსოფლიო ომშიც განზე იდგნენ და პირდაპირ გაკრისტალებულები ამოვიდნენ იმ მღვრიე მდინარიდან. დღეს შვედეთი მშვიდობიანი, ნეიტრალური ქვეყანაა, სადაც თითქმის არავის აწუხებს საყოფაცხოვრებო და სოციალური პრობლემები. შვედი კლერკისთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი პრობლემა — გაგეცინებათ და — სამსახურთან მანქანის დაყენებაა. სტოკჰოლმის ძალზე გადატვირთულ ქუჩებში მანქანებს ნომრების მიხედვით აქვთ მოძრაობის უფლება: კენტ-ნომრიანები კენტ დღეებში დადიან, ლუწიანები კი ლუწიანებში გამოდიან. ზემოთნახსენები „კომუნიზმის“ ერთადერთი ნაკლოვანებაც ესაა: მათი ცხოვრების წესი ბევრზე ბევრ წეს-ჩარჩოს შეიცავს. მეზობელი ნორვეგიელები ამის გამო კიდეც დასცინიან, გადაჭარბებით წესიერებსაც უწოდებენ. ოღონდ, გეთაყვა, ამ წესრიგომანიას ბიუროკრატიაში ნუ აურევთ.

ირაკლი ფირაშვილი

მეკარეები

1	ანდრეას ისაკსონი	მანჩესტერ სიტი, ინგლისი	03.10.81
12	რამი შააბანი	ჰამარბი	30.06.75
13	იოჰან ვილანდი	ელფსბორგი	24.01.81

მცველები

2	მიქაელ ნილსონი	პანათინაიკოსი, საბერძნეთი	24.06.78
3	ოლოფ მელბერგი	იუვენტუსი, იტალია	03.09.77
4	პეტერ ჰანსონი	რენი, საფრანგეთი	14.12.76
5	ფრედერიკ სტოორი	რუსენბორგი, ნორვეგია	28.02.84
14	დანიელ მაისტოროვიჩი	ბაზელი, შვეიცარია	05.04.77
15	ანდრეას გრანკვისტი	ჰელსინგბორგი	16.04.85
23	მიქაელ დორსინი	კლუჟი, რუმინეთი	06.10.82

ნახევარმცველები

6	ტობიას ლინდეროტი	გალათასარაი, თურქეთი	21.04.79
7	ნიკლას ალექსანდერსონი	გიოტებორგი	29.12.71
8	ანდრეას სვენსონი	ელფსბორგი	17.07.76
9	ფრედერიკ ლიუნგბერგი	ვესტ ჰემი, ინგლისი	16.04.77
16	კიმ კალსტრიომი	ლიონი, საფრანგეთი	24.08.82
18	სებასტიან ლარსონი	ბირმინგემი, ინგლისი	06.06.85
19	დანიელ ანდერსონი	მალმიო	28.08.77
21	კრისტიან ვილჰელმსონი	დეპორტივო, ესპანეთი	08.12.79

თავდამსხმელები

10	ზლატან იბრაჰიმოვიჩი	ინტერი, იტალია	03.10.81
11	იოჰან ელმანდერი	ტულუზი, საფრანგეთი	27.05.81
17	ჰენრიკ ლარსონი	ჰელსინგბორგი	20.09.71
20	მარკუს ოლბაკი	კოპენჰაგენი, დანია	05.07.73
22	მარკუს როზენბერგი	ვერდერი, გერმანია	27.09.82

მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი (59)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. რუსეთი

ჰიდინკის მანქანა

რუსეთის ნაკრების გზა ფინალურ ეტაპამდე ძალიან დაძაბული და დრამატული გახლდათ. შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, გუს ჰიდინკის შეგირდებს საგარეო მატჩებში უმოტივაციო ისრაელსა და ანდორასთან მოგება სხვა მატჩების შედეგების მიუხედავად ჰყოფნიდათ ავსტრია-შვეიცარიაში მოსხავედრად.

ჰიდინკმა თქვა, ისრაელში წაგება უბრალოდ შეუძლებელიაო, მაგრამ რუსებმა ეს შეძლეს და 1:2 დამარცხდნენ. ამის მერე, ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ ისინი ფინალურ ეტაპზე მოხვდებოდნენ, მაგრამ ინგლისმა სენსაციურად წააგო საკუთარ „უემბლიზე" ხორვატიასთან (2:3), რუსეთმა კი ანდორასთან იწვალა, მაგრამ ათი კაცით, დმიტრი სიჩოვის ერთადერთი გოლით, მაინც მოიგო და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

მიუხედავად ყველაფრისა, რუსების ამ მიღწევას დაუმსახურებელს და შემთხვევითს ვერაფრით ვუწოდებთ, რადგან მათ მშვენიერი ნაკრები ჰყავთ, რომელიც საკმაოდ ორგანიზებულ და კარგ ფეხბურთს თამაშობს. მთავარი პრობლემა არასტაბილურობაა.

ჰიდინკის გამოცდილებაზე და წარმატებებზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, სათქმელი ბევრია. რა გავიხსენოთ? ჰოლანდიასა და კორეასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა, პსვ-სთან ერთად მოგებული ჩემპიონთა ლიგა თუ მისი კიდევ არაერთი წარმატება და ტიტული? ცხადია, ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ რუსული ფეხბურთის „მამებმა" და ჰოლანდიელი სპეციალისტი სწორედ ამიტომ დანიშნეს ნაკრების მწვრთნელად. არც შემცდარან, შედეგი სახეზეა — გუნდი რთული ჯგუფიდან გავიდა ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე და თავის ჯგუფში აუტსაიდერად სულაც არ ითვლება.

რუსი მწვრთნელების წარუმატებლად მუშაობის შემდეგ, პოსტზე მოსულმა ჰიდინკმა ნაკრები ერთ მუშტად შეკრა და შედეგის მომტან, საკმაოდ კარგ „მანქანას" დაამსგავსა. ტაქტიკის გადაწყობ-გადმოწყობა ჰოლანდიელს არ ესწავლება და ფეხბურთელებიც აძლევენ ამის საშუალებას. თუმცა ძირითადად იგი რუსეთს 4-5-1 სქემით ათამაშებს. არცთუ იშვიათად იყენებს 3-5-2-საც.

გუს ჰიდინკი

ანდრეი არშავინი

რუსებს ჩინებული მეკარეები ჰყავთ, დაცვაშიც საკმაოდ ორგანიზებულნი არიან, მობილური ნახევარდაცვა კი, შეძლებისდაგვარად, მცველებსაც ეხმარება და ცხადია, გამოკვეთილ ფორვარდსაც.

დაცვაში აქცენტი კვლავ არმიელებზე სერგეი იგნაშევიჩსა და ძმებ ვასილი და ალექსეი ბერეზუცკებზე კეთდება. მეოთხე მცველი ზენიტელი უნივერსალი ალექსანდრ ანიუკოვია. ნებისმიერი მათგანის შეცვლა მშვენივრად შეუძლია დენის კოლოდინს.

ნახევარდაცვას შეგვიძლია რუსების ყველაზე ძლიერი რგოლი ვუწოდოთ. ცენტრში, როგორც წესი, იგორ სემშოვი და 2007 წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი კონსტანტინ ზირიანოვი არიან. შემტევებად ჰიდინკს ბილიალეტდინოვს, ბისტროვს, ჟირკოვს, ტორბინსკისა და სხვებს შორის უწევს ხოლმე საუკეთესოების არჩევა.

რუსების მთავარი ყურადღება ახლა პაველ პოგრებნიაკისკენაა მიმართული. „ზენიტის" ფორვარდი ცოტა ხნის წინ დაშავდა და ევრო 2008-ზე მისი თამაში ეჭვქვეშაა.

ეს ჰიდინკისა და მისი ამალისთვის ორმაგად გულდასაწყვეტია, რადგან რუსების მთავარი ვარსკვლავი ანდრეი არშავინი, რომლისგანაც ძალიან ბევრს ელიან, დისკვალიფიკაციის გამო პირველ ორ მატჩში ვერ ითამაშებს.

თუმცა ფანების გარკვეულ ნაწილს დიდად არ ანაღვლებს პოგრებნიაკის ტრავმა — სპარტაკელი რომან პავლიუჩენკო უფრო მრავალმხრივია და ძირითადში ის უნდა იყოსო.

ნაკრებში მოხვედრაზე პრეტენზია ჰქონდათ ალექსანდრ კერჟაკოვს, ალექსანდრ პავლენკოს, რენატ იანბაევსა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს, მაგრამ ჰიდინკი, ცხადია, ყველას ვერ გამოიძახებდა. ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა კერჟაკოვის განაცხადს მიღმა დატოვებამ გამოიწვია, მაგრამ „სევილიას" ექსთავდამსხმელს სათამაშო პრაქტიკა აკლდა და არცთუ კარგ ფორმაში გახლდათ.

რუსებს საკმაოდ ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავთ. ფეხბურთელების საშუალო ასაკი 25,7 წელია.

კიდევ ერთი რამ, რითაც რუსები სხვებისგან აშკარად გამოირჩევიან, ის გახლავთ, რომ ლეგიონერები ფაქტობრივად არ ჰყავთ. 23 ფეხბურთელიდან 22 ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს. ერთადერთი „უცხოელი" გერმანული „ნიურნბერგის" ფორვარდი ივან საენკო გახლავთ.

კოკი კანდელაკი

არის ასეთი ქვეყანა

ერთ ამერიკელ ვარსკვლავს ჰკითხეს, თუ იცი სად არის რუსეთი, არ ვიცი, უპასუხა. არც აინტერესებდა, არც სჭირდებოდა ამის ცოდნა. ნეტავ, ჩვენთვისაც ისე შორეული და უსარგებლო ყოფილიყო ეს ყვეყანა...

ჩვენი მორაგბეები რუსებს რომ ეთამაშებოდნენ და მაყურებელმა მათ ჰიმნს უსტვინა, იმათ უფრო გაუკვირდათ, ვიდრე ეწყინათ — საიდან ასეთი დამოკიდებულებაო. მეტოქეები კი იყვნენ, მაგრამ ბიჭები მეგობრობდნენ და მოედანსგარეთ ნამდვილად არ მტრობდნენ ერთმანეთს. ასეა, ჩვეულებრივ უდანაშაულო რუსს უკვირს ჩვენგან ასეთი სიძულვილი, რადგან ახსოვს, როგორ ჩამოდიოდა სტუმართმოყვარე „ზაკავკაზიაში", აქაურ სუფრაზე ღვინოს მიირთმევდა და ქართველთან ხელიხელგადახვეული სიმღერას ცდილობდა (ვერკი გამოსდიოდა). ქართველებიც ჩადიოდნენ მოსკოვში, იყო ერთი ამბავი, მოკლედ, არ გვიჭირდა საერთო ენის გამონახვა და ახლა ასე რომ ვერ ვგუობთ ერთმანეთს, ალბათ ჩვენი მთავრობების ბრალიაო — მგონი, ასე უნდა ფიქრობდეს, ვთქვათ, ვლადიმირელი, ან ჩელიაბინსკელი.

ჰო, ოღონდ ჩელიაბინსკელი არ იდგა 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე, 1993 წელსაც არ მოუწევდა კოდორის ხეობის ამოვლა და არც ხრუშჩოვის დორბლიანი ღრიალი ეხსომება, კახეთიდან აყრაზე და ყაზახეთში გადასახლებაზე... სხვას კი არაფერს გვერჩოდა შაჰ-აბასი.

ჯერ ის ვითომ ცისფერი ჩაფხუტები მოაშორონ აქაურობას და მერე ჩვენც იქნებ დავივიწყოთ ცისფრებიც და წითლებიც. ვინ იცის, სუფრასთანაც ისევ მოვიწვიოთ, ჯერ კი რუსეთი ჩვენთვის დამპყრობელია და არა კეთილი მეზობელი. იყიდოს ჩვენგან სამი ლიტრა ღვინო და მეოთხე იქნებ ვაჩუქოთ, იმ თავისი სალდაფონა ჩექმებით კი რუსეთის საზღვრებს შიგნით იბოდიალოს რამდენიც უნდა, თავისი ქვეყნის სიფართოვეს ასე უკეთ შეიგრძნობს.

ირაკლი ფირაზვილი

მეკარეები

1	იგორ აკინფეევი	ცსკა	08.04.86
12	ვლადიმირ გაბულოვი	ამკარი	19.10.83
16	ვიაჩესლავ მალაფეევი	ზენიტი	04.03.79

მცველები

2	ვასილი ბერეზუცკი	ცსკა	20.06.82
3	რენატ იანბაევი	ლოკომოტივი	07.04.84
4	სერგეი იგნაშევიჩი	ცსკა	14.07.79
5	ალექსეი ბერეზუცკი	ცსკა	20.06.82
8	დენის კოლოდინი	დინამო	11.01.82
14	რომან შიროკოვი	ზენიტი	06.07.81
22	ალექსანდრ ანიუკოვი	ზენიტი	28.09.82

ნახევარმცველები

7	დმიტრი ტორბინსკი	ლოკომოტივი	28.04.84
10	ანდრეი არშავინი	ზენიტი	29.05.81
11	სერგეი სემაკი	რუბინი	27.02.76
15	დინიარ ბილიალეტდინოვი	ლოკომოტივი	27.02.85
17	კონსტანტინ ზირიანოვი	ზენიტი	05.10.77
18	იური ჟირკოვი	ცსკა	20.08.83
20	იგორ სემშოვი	დინამო	06.04.78
23	ვლადიმირ ბისტროვი	სპარტაკი	31.01.84

თავდამსხმელები

6	რომან ადამოვი	მოსკვა	21.06.82
9	ივან საენკო	ნიურნბერგი, გერმანია	17.10.83
13	პაველ პოგრებნიაკი	ზენიტი	08.11.83
19	რომან პავლიუჩენკო	სპარტაკი	15.12.81
21	დმიტრი სიჩოვი	ლოკომოტივი	26.10.83

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი (61)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

D ჯგუფი. ესპანეთი

ფურია რიხით

ლუის არაგონესი

„სწორ გზაზე ვდგავართ და მართლაც შეგვიძლია რაღაცის მიღწევა. მოვიდა დრო, ესპანეთმა დაამტკიცოს, რომ დიდი ტურნირის მოგება შეუძლია" — ლუის არაგონესის ამ სიტყვებზე მის ბევრ თანამემამულეს ეცინება, არადა, „ბებერი" რომ თითით დასაცინი მწვრთნელი არაა, შედეგებიც მოწმობს: მის ხელში ნაკრებმა 52 მატჩიდან მხოლოდ 4 წააგო, შარშან ივნისიდან დაწყებული კი, 15 თამაშიდან 13-ში იმარჯვა.

მსოფლიო ჩემპიონი შესარჩევ ციკლში — ზოგჯერ ასეც „ეფერებიან" „ფურია როხას" და მართლაც, რით გვამასოვრებს თავს ესპანეთის ნაკრები? დიდ ტურნირამდე რიხინრიხინით მიდის, იქაც თითქოს რიხით იწყებს, მაგრამ გადამწყვეტი მატჩები და წაგება ერთად მოდიან...

ესპანეთი მერვედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, 1964 წელს ჩემპიონი გახდა და 1984-ში ფინალი წააგო მასპინძელ საფრანგეთთან, სხვა შემთხვევაში კი „ფურია როხას" ნახევარფინალშიც არ შეუდგამს ფეხი, წინა ევროპაზე კი სულაც ჯგუფში ჩარჩა.

ევრო 2008-ის მოგების შემთხვევაში, ესპანელთა 23-ვე ფეხბურთელს 214 ათას ევროს გადასცემენ, ჯგუფიდან ვერგასვლის შემთხვევაში მხოლოდ ფიქსირებულ 30 ათასს მიიღებენ, ხოლო მეოთხედფინალებიდან პრემია გაიზრდება.

...მაგრამ, ჩემპიონიც რომ გახდეს, ლუის არაგონესი მადრიდის „რეალის" ფანების გულს მაინც ვერ მოიგებს. ვინმეს წარმოუდგენია „ფურია როხა" რაულის გარეშე? აი, „ბებერმა" კი წარმოიდგინა და ნაკრებს ჩამოაშორა. რომელი ბუნტისთავი და ამრევი რაულია, მაგრამ ესპანელმა მიმიმხილველებმა გამოჩხრიკეს, რომ დონ ლუისს ვარჯიშებზე „რეალის" თილისმას რჩევები არ სიამოვნებსო, შელაპარაკებაც მოსვლიათ. მერე კი არაგონესმა სხვა გზიდან მოუარა, შეკრებაზე სხვა ფეხბურთელები რომ თვალებში შემომციცინებენ, ეგ თქვენი რაული დილიდან ღამემდე არ იძინებს და ყავას მირთმევსო.

მოკლედ, ბრწყინვალე სეზონის მიუხედავად, გონსალეს ბლანკო სახლში დარჩა, ესპანეთს ქარიზმა მოაკლდა, თუმც არ მოაკლდა შემტევი მრისხანება — „ფურია როხას" ევროპაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელები მაინც ჰყავს.

მანამდე კი არაგონესის სხვა შერისხულებზეც ვთქვათ: შესარჩევი ციკლის ბოლოს და წლეულსაც „ბებერი" ნაკრებში მუდმივად ათამაშებდა „ესპანიოლის" სამ ფეხბურთელს — ალბერტ რიერას, ლუის გარსიასა და რაულ ტამუდოს, თუმც ავსტრია-შვეიცარიაში წასვლაზე რომ მიდგა საქმე, სამივე პირდაღებული დატოვა. ტამუდოს ტრავმის კვალი ჰქონდა, ლუის გარსიას სეზონის ბოლოს ჩაგდება არ აპატია და მის ნაცვლად გავარდნილი „სარაგოსას" ფორვარდ სერხიო გარსიას დაუძახა, ხოლო მარცხენა ნახევარმცველ რიერაზე თქვა, „ვალენსიას" დავიდ სილვას გამო ძირითადის შანსი არ ექნება, თანაც კლუბის შეცვლაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ნაკრებზეო.

ბევრის აზრია, ნაკრებში მოხვედრას ვალენსიელი ხოაკინი და რეალელი გუტიც იმსახურებდნენ, თუმც „ბებერი" ხოსე მარია გუტიერესს არასოდეს სწყალობდა, რაულზე მეტი უთანხმოება მასთან ჰქონდა. რაც შეეხება ხოაკინს, მან უფერული სეზონი ჩაატარა, თუმც მაინც გამორჩეული ინდივიდუალისტია — ისეთი, საჭირო დროს ორიგინალური მოქმედება რომ შეუელია. თანაც, ხოაკინი მარჯვენა ნახევარმცველია, ასეთი კი არაგონესს 23-კაციან სიაში ნომინალური არავინ ჰყავს. ეგაა, ამ პოზიციაზე თამაში „ვილიარეალის" სანტი კასორლასა და „ბარსელონას" ანდრეს ინიესტას შეუძლიათ.

ტრავმა-დისკვალიკაფიციები თუ არ იქნება, არაგონესი მეკარეს და დაცვის ოთხეულს არ შეცვლის. პეპე რეინა და ანდრეს პალოპიც შშვენიერი მეკარეები არიან, თუმც იკერ კასილიასი უკონკურენტოა. ხუმრობაა, 18 წლის ასაკიდან „რეალის" თითქმის უცვლელ პირველ ნომრად ყოფნა?

„ბებერის" საყვარელი ტაქტიკური სქემა 4-1-4-1 იყო, თუმც წლეულს უმეტესად 4-2-2-ს ან 4-1-3-2-ს იყენებდა.

„მატჩის მსვლელობისას მოდელი რამდენჯერმე შეიძლება შევცვალო. ზოგჯერ 4-5-1-ით ვიწყებთ და თუ საჭიროა, ნახევარმცველებს წინ გადავწევ და სქემა 4-1-1-4 სახეს მიიღებს. ტექნიკური თვალსაზრისითაც, ბრწყინვალედ ვართ მომზადებულნი. ბევრ ფეხბურთელს შეუძლია ბურთის კონტროლი მაღალ ტემპში" — იმედიანადაა არაგონესი.

დაცვა: ესპანეთის დარი შემტევი და შედეგიანი ფლანგელი მცველები, ალბათ, მსოფლიოში არავის ჰყავს. მარჯვნიდან სერხიო რამოსი, მარცხნიდან კი ხუან კაპდევილა ზოგჯერ გარემარბებად გადაიქცევიან ხოლმე თანაც, რეალელიც და ვილიარეალელიც მშვენიერად თამაშობენ თავით, წლეულს თავიანთ კლუბებშიც და ნაკრებშიც გაიტანეს დასამახსოვრებელი გოლები. უკიდურეს შემთხვევაში, რამოს-კაპდევილას შემცვლელები, შესაბამისად, ლივერპულელი ალვარო არბელიო და მალიორკელი ფერნანდო ნავარო იქნებიან.

დაცვის ცენტრში კარლოს პუიოლი და კარლოს მარჩენა მოქმედებენ. ორივე ხისტი, მოუხეშავი მცველია, თუმც ისეთი, პირველი პასი რომ შეუძლიათ. საერთო აზრით, დღევანდელ „ფურია როხაში" შედარებით სუსტი წერტილი სწორედ დაცვის შუაგულია. პუიოლ-მარჩენას ალტერნატივა კი ხუანიტო და ალბიოლი არიან.

ესპანეთი ერთი გამოკვეთილი საყრდენი ნახევარმცველით თამაშობს და ბოლო ამხანაგურების მიხედვით, ბობო ალონსო უფრო იქნება ძირითადში, ვიდრე გაესპანელებული ბრაზილიელი მარკოს სენა. ვილიარეალელს უფრო კარგი სეზონი ჰქონდა, თუმც ლივერპულელი უფრო გამოცდილია.

მის წინ „არსენალის" ვარსკვლავი სესკ ფაბრეგასი და „ბარსელონას" ხერხემალი ხავი დაიკავებენ ადგილს. მათ ჩაშლაც შეუძლიათ და შეტევაც. ხავიმ გუშინწინ ამხანაგურში გაიტანა გადამწყვეტი გოლი და ესპანეთს აშშ-სთან 1:0 მოაგებინა. რაც შეეხება ფაბრეგასს, არაგონესი წუხს, ნაკრებში ისე კარგად ვერ თამაშობს, როგორც „არსენალშიო". ამ პოზიციაზე კიდევ ხეტაფელი რუბენ დე ლა რედუმტაა, თუმც მისი „მურმანის ეკლობა" საეჭვოზე საეჭვოა — ხავი-ფაბრეგასთან ახლო ვერ მივა.

საინტერესოა, მაინც რომელ სქემას აირჩევს არაგონესი. თუ 4-4-2-ს ამჯობინებს, მაშინ მარცხენა ნახევარმცველად ტანჩია და ტექნიკური დავიდ სილვა დადგება, ოღონდ ფაბრეგას-ხავიდან ერთ-ერთი ოდნავ მარჯვნივ გადაიწევს. ასეც და ისეც, სილვა ძირითადის ფეხბურთელი იქნება — საკითხვაი ისაა, ტიპიურ გარემარბად ითამაშებს თუ ცენტრში შეწეულად. მისი ალტერნატივა ანდრეს ინიესტაა, ვინც აშშ-სთან თამაში ავადმყოფობის გამო გამოტოვა: საკვებისგან მოიწამლა, მადრიდის საავადმყოფოში იწვა და დღეს-ხვალ შეუერთდება ნაკრებს.

თუ „ბებერი" ოდნავ ფრთხილ 4-1-4-1-ს აირჩევს, ინიესტას მარჯვენა ნახევარმცველად დააყენებს, რაკიღა კასორლფს გარდა სხვას ამ პოზიციაზე ვერ ათამაშებს. თუმც სავარაუდოდ, ასე არ მოხდება, რაკიღა არაგონესს გაუჭირდება ფერნანდო ტორეს-დავიდ ვილიას დუეტიდან ერთ-ერთის სკამზე დატოვება და ამრიგად, ორი ფორვარდით შეეკვეთება მეტოქეებს. ეგაა, ვილიას ბარძაყის ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, 10 ივნისს რუსეთს ვერ შეერკინოს.

ტორესი და ვილია ჩრდილავან სერხიო გარსიასა და თუნდაც ესპანეთის პრიმერას გასული სეზონის ბომბარდირს, მალიორკელ დანიელ გუიზას — ბოლო ორს, განსაკუთრებით კი გარსიას, ალბათ, ღრმა სათადარიგოობა უწერიათ. თუმც არაგონესისგან რას გაიგებ, იცი „ბებერს" რა აქვს ჩაფიქრებული?

ტორესსაც და ვილიასაც ნაკრებში 15-15 გოლი გაუტანიათ, თუმც ვალენსიელს 16 მატჩით ნაკლები ჩაუტარებია. ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს სტილით — დრიბლინგი, ტექნიკა, გოლის ალღო... ფაქტობრივად, უნაკლო „შუბის წვერები" არიან. ეგაა, ლივერპულელს უფრო მეკარის სიახლოვეს უყვარს თამაში, ვილიას კი სიღრმიდანაც შეუძლია შეტევა. კიდევ, „ელ ნინიო" უფრო ქარიზმატულია, „ატლეტიკოს" კაპიტანი იყო ჯერ კიდევ 19 წლისა, ვალენსიელი კი შედარებით გვიან გავარსკვლავდა.

ახლა კი, ნახეთ, რას ამბობს ტორესი: „ნაკრების სათამაშო სტილს უნდა შევეჩვიო. პრემიერლიგის კლუბები სულ სხვანაირად თამაშობენ. იქ გრძელი პასები უყვართ, ნაკრებში კი ასე არ გამოდგება".

აკი, აშშ-სთან მატჩის შემდეგ არაგონესიც წუხდა, ტორესს ბურთი თითქმის არ მოუდია, ოკეანეში ჩაკარგული კუნძულივით იყო, თუმც ეს მისი კი არა, მთლიანად გუნდის ბრალიაო.

საბოლოოდ, რა ელის ესპანეთს ევრო 2008-ზე, ღმერთმა იცის: „ფურია როხამ" წინა ევროპის ჩემპიონატიც რუსეთთან მატჩით დაიწყო (1:0 მოიგო) და მაინც ჯგუფში ჩარჩა, მაშინაც ჰყავდა მეტოქედ საბერძნეთი და ახლაც ჰყავს, ხოლო შვედეთს შესარჩევ ციკლში ეტოქებოდა. „ბებერი" ამ ჩემპიონატის მერე ყველა ვარიანტში ტოვებს პოსტს და ვნახოთ, ეგებ თავაწეული, წავიდეს და რაული არც გაახსენონ...

ილია ნანოგაშვილი

პრის ასეთი ქვეყანა

რატომ უწოდა პომპეუსმა ქართლს იბერია, როცა ქრისტეს შობამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე თავისი ლეგიონი მცხეთის ხიდს მოაყენა? ძირითადი ვერსია ასეთია: რომაელმა გენერალმა მაშინდელი საქართველო ბუნებით და ხასიათით ალბათ ძალიან მიამსგავსა ესპანურ იბერიას და ეს სახელი ათასი კილომეტრით აღმოსავლეთითაც დამკვიდრა.

სამხრეთული ცხელი სისხლი და ფეთქებადი ხასიათი — ესპანელები დღემდე ასეთებად ცნობილან. ხოლო რაც შეეხება „იბერიას", მათ ქვეყანას დიაგონალზე კვეთს იბერიის მთაგრეხილი, ხოლო პირენეის ნახევარკუნძულს არცთუ იშვიათად იბერიის ნახევარკუნძულსაც უწოდებენ. მოკლედ, იბერიაც ორია, ჯორჯიისა არ იყოს. ესპანეთი კი ერი შუა საუკუნეებში გახდა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ იბერიაში სახელმწიფოები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში აღმოცენდნენ. იმდენად დიდი, მთაგრეხიანი და არაერთგავოვანია ეს მიწა, თანაც აფრიკიდან გადასულმა არაბებმაც ისე შეუშალეს ხელი, რომ ამ სახელმწიფოთა გაერთიანება დროის მოზრდილ პერიოდში გაიწელა და ესპანეთი მთლიან სახელმწიფოდ მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა.

გარკვეულწილად ეს რთული რელიეფი ურთულებს ესპანელებს საქმეს. არ გვანან ერთმანეთს ხასიათით ანდალუზიელი და კანტაბრიელი, რომ ალარაფერი ვთქვათ, განზე გამხედავ კატალონიელზე და ეთნიკურად სრულიად განსხვავებულ ბასკზე, რომელმაც თავისთვის სასიცოცხლოდ საჭირო „რამეები" კასტილიელს ბრძოლით დაათმობინა. იქნებ ერთმანეთთან ამ შეურიგებლობის გამოცაა, რომ ესპანელებს მუნდიალებზე ხშირად სჯობნიან სხვა, გაცილებით მომცრო ქვეყნის ნაკრებები? ისე, კალათბურთში ორი წლის წინ კი გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები და რა ვიცი...

ირაკლი ფირაშვილი

მეკარეები

1	იკერ კასილიასი	რეალი	20.05.81
13	ანდრეს პალოპი	სევილია	22.10.73
23	ხოსე მანუელ რეინა	ლივერპული, ინგლისი	31.08.82

მცველები

2	რაულ ალბიოლი	ვალენსია	04.09.85
3	ფერნანდო ნავარო	მალიორკა	25.06.82
4	კარლოს მარჩენა	ვალენსია	31.07.79
5	კარლეს პუიოლი	ბარსელონა	13.04.78
11	ხუან კაპდევილია	ვილიარეალი	03.02.78
15	სერხიო რამოსი	რეალი	30.03.86
18	ალვარო არბელოა	ლივერპული, ინგლისი	17.01.83
20	ფრანსისკო ხუანიტო	ბეტისი	23.07.76

ნახევარმცველები

6	ანდრეს ინიესტა	ბარსელონა	11.05.84
8	ხავი ერნანდესი	ბარსელონა	25.01.80
10	ფრანსესკ ფაბრეგასი	არსენალი, ინგლისი	04.05.87
12	სანტიაგო კასორლა	ვილიარეალი	13.12.84
14	ხაბი ალონსო	ლივერპული, ინგლისი	25.11.81
19	მარკოს სენა	ვილიარეალი	17.07.76
21	დავიდ სილვა	ვალენსია	08.01.86
22	რუბენ დე ლა რედი	ხეტაფე	05.06.85

თავდამსხმელები

7	დავიდ ვილია	ვალენსია	03.12.81
9	ფერნანდო ტორესი	ლივერპული, ინგლისი	20.03.84
16	სერხიო გარსია	სარაგოსა	09.06.83
17	დანიელ გუისა	მალიორკა	17.08.80

მწვრთნელი: ლუის არაგონესი (69)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

გამარცხენებული მემარჯვენე

პაულუ ფერეირა მარჯვენა მცველია, მაგრამ როგორც შვეიცარიულ ნოიშატელში, პორტუგალიის ნაკრების ბანაკში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუკი ნაკრებს მარცხენა ფრთაზე ვჭირდები, სიამოვნებით ვითამაშებო.

„დაცვის მარცხენა ფრთაზე თამაში ჩემთვის ბუნებრივი არ არის, მაგრამ რამდენჯერმე მომისინჯავს და ვიცი, რაც არის. რასაკვირველია, მარცხნივ და მარჯვნივ თამაში ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი სულაც არ გახლავთ. მთავარია, გააკეთო ის, რასაც გთხოვენ და რაც ეროვნულ გუნდს სჭირდება“ — განაცხადა მცველმა, რომელიც გუნდთან ერთად თურქებთან შაბათის თამაშისთვის ემზადება.

ფერეირა ამბობს, რომ მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მას გასულ შაბათს, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ გარჯა მოუწონა — შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელებმა საქართველოს 2:0 მოუგეს.

„მან მითხრა, რომ ჩემი თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ მენდობა — განაგრძო 29 წლის გამარცხენებულმა მარჯვენამ — ჩემი მხრივ, მინდა, მწვრთნელი დავარწმუნო, რომ მისი ნებისმიერი დავალების შესასრულებლად მზად ვარ. აქ 23 კაცი ვართ, კონკურენცია კი ყოველთვის კარგია. რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ“.

ფერეირას პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში 47 თამაში აქვს ჩატარებული. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მისი ძირითადი საქმე მარჯვენა მცველობაა, მაგრამ კარიერის განმავლობაში მარცხნივ და, ასე განსაჯეთ, ცენტრშიც კი უთამაშია.

ამ საიმედო ფეხბურთელს „პორტუს“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაც მოუგია და უეფას თასიც. როგორც მიმომხილველები ამბობენ, ბრწყინვალედ იშვიათად თამაშობს, მაგრამ არც ჩავარდნები სჩვევია. მის შესახებ „პორტუს“, მოგვიანებით კი „ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ერთხელ ასე თქვა:

„ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს ვერასდროს მიიღებს, მაგრამ ათიდან შვიდჯერ ყოველგვარ იმედს გაამართლებს“.

გეხსომებათ, 2004 წელს მაურინიუმ ფერეირა „ჩელსიში“ წაიყვანა.

როგორც პორტუგალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, ლუიშ ფელიპე სკოლარი თურქეთთან იმავე შემადგენლობას ათამაშებს, საქართველოსთან ამხანაგურ შეხვედრაში რომ ათამაშა. დაცვის მარჯვენა ფრთაზე ფერეირა ჟოზე ბოსინგვას დაუთმობს ადგილს.

ფერეირა, რომელმაც გასული სეზონის განმავლობაში ტრავმისა და „ჩელსიში“ არსებული დიდი კონკურენციის გამო ბევრი შეხვედრა გამოტოვა, ამბობს:

„შანსი მეძლევა. თამაში ძალიან მიყვარს, მაგრამ ტრავმის გამო ბევრი გამიცდა. თან, შეჯიბრების კარგად დაწყება აუცილებელია. უნდა გაითვალისწინო, რომ მომავალში, შესაძლოა, ქულები დაკარგო, ასე რომ, პირველ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ 2004 წლის ჩემპიონატის გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რა ძნელია თითოეული ქულის მოპოვება“.

პორტუგალიას თურქეთის გარდა შვეიცარიასა და ჩეხეთთან ელის ჯგუფური თამაშები.

რაც შეეხება ოთხი წლის წინანდელ ჩემპიონატს, რომელიც სწორედ პორტუგალიაში გაიმართა, ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდმა იქ პირველი თამაში მომავალ ჩემპიონ საბერძნეთთან წააგო 1:2. ფერეირამ და მისმა მეგობრებმა ბერძნებთანვე წააგეს ფინალიც — 0:1.

პაპუნა ძედია

ტრეზეგე და ბარსელონა



ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელები აქამდე კატეგორიულად გამორიცხავდნენ გუნდიდან დავიდ ტრეზეგეს წასვლის შესაძლებლობას, მაგრამ ახლა სხვაგვარად აჭიკჭიკდნენ...

„წავა თუ არა ტრეზეგე? აჯობებს, ეს „ბარსელონას“ ჰკითხოთ“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ მფლობელმა ჯონ ელკანმა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა „ბიანკონერიდან“ ფრანგის წასვლაზე ლაპარაკობენ და მას არც „ბარსელონას“ უკავშირებენ პირველად.

მიუხედავად „პალერმოსგან“ ამაურის ყიდვისა, გავრცელებული ინფორმაციით, „იუვენტუსის“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ნომერ პირველ ცენტრფორვარდად მაინც მოიაზრებს გასულ სერია A-ში 20 გოლის გამტან ტრეზეგეს. თუმცა, „ბარსელონასგან“ სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, დიდი შანსია, ტურინელთა სპორტული დირექტორი ალესიო სეკო 31 წლის ფრანგის გაყიდვას დაყაბულდეს. მით უმეტეს, რომ „ბებერ ქალბატონს“ ლივერპულელი ხაბი ალონსოსა და სხვა ფეხბურთელების საყიდლად ფული სჭირდება.

კოკი კანდელაკი

კასერესი ბარსაში გადადის

„ბარსელონა“ „ვილიარეალს“ შეუთანხმდა ურუგვაელი მცველის მარტინ კასერესის ტრანსფერზე. კატალონიელები „ყვითლებს“ 16,5 მილიონ ევროს გადაუხდიან. 21 წლის ფეხბურთელი კი კატალონიელებთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ტრანსფერი, წესით, დღე-დღეზე ოფიციალურად გაცხადდება.

სუპერთასი ამერიკაში

ამ ზაფხულს, „ინტერსა“ და „რომას“ შორის იტალიის სუპერთასის მატჩი ამერიკაში გაიმართება. მსგავსი რამ პირველად არ მოხდება. 1998 და 2003 წლებში იტალიის სუპერთასი ასევე ამერიკაში გაიმართა, შესაბამისად, ვაშინგტონსა და ნიუ იორკში. ამჯერად ფავორიტი ქალაქი ფილადელფიაა, მაგრამ მასპინძლობის სურვილი ნიუ იორკსაც აქვს.

გრეტნა დაიშალა

შოტლანდიური „გრეტნა“ ჩემპიონატში აღარ ითამაშებს. გუნდის უფროსობამ ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც ახალი მყიდველი ვერ იპოვნა და მძიმე ფინანსური კრიზისიდან ვერ გამოვიდა.

„გრეტნა“ შოტლანდიის პროფესიულ ჩემპიონატში 2002 წელს ჩაერთო და მესამე დივიზიონიდან უმაღლეს ლიგაში აღზევდა, გავიდა თასის ფინალში და ითამაშა უეფას თასზეც. თუმცა გასულ სეზონში გუნდი ძველმა მფლობელმა მიატოვა. ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი „გრეტნა“ პრემიერლიგიდან გავარდა, შემდეგ მესამე დივიზიონში დააქვეითეს, მაგრამ უფროსობამ თანხები ვერ მოიძია და... შოტლანდიის ფეხბურთის ლიგა „გრეტნას“ შემცვლელ კლუბს ეძებს.

სამპდორიამ სამარკო გამოისყიდა

იტალიურმა „სამპდორიამ“ პაოლო სამარკო ბოლომდე გამოისყიდა „მილანისგან“. 25 წლის ნახევარმცველის კონტრაქტის ნახევარი გენუელებს დაახლოებით 3 მილიონი ევრო დაჯდომიათ. პარალელურად, „სამპდორიას“ სამიზნეები იუვენტუსელი რაფაელე პალადინო და ტორინელი მარკო მოტა ყოფილან.

გაზა ისევ ცუდადაა

ცუდად არის პოლ გესქოინის საქმე. მოგეხსენებათ, ახლო წარსულში ცნობილ ფეხბურთელსა და სკანდალურ პიროვნებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. იგი ორშაბათს გამოწერეს საავადმყოფოდან, მაგრამ სამშაბათს უკან წასაყვანი შეიქნა. წელს გაზა უკვე მესამედ მოხვდა ჰოსპიტალში.

ინტერს კვარეშმა უნდა

იტალიური პრესის ცნობით, მილანის „ინტერი“ დიდ ფულს არ დაიშურებს, რათა პორტუელი რიკარდუ კვარეშმა ხელში ჩაიგდოს. იგი „ნერაძურის“ ახალი მწვრთნელის, ჟოზე მაურინიუს ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ყოფილა და ცოტა ხნის წინ „ინტერს“ ლუიშ ფიგუმაც ურჩია, კვარეშმა იყიდეთო. თუმცა მილანელებს შემცილებლებიც ეყოლებიან, „ლივერპულის“ თამადობით.

ბედნიერი იოვეტიჩი

ბელგრადის „პარტიზანიდან“ „ფიორენტინაში“ გადასული სტევან იოვეტიჩი ძალიან ბედნიერია. ფლორენციელებმა 18 წლის ნიჭიერ თავდამსხმელში დაახლოებით 7,5 მილიონი ევრო გადაიხადეს.

„ბედნიერი ვარ, ოცნება ამიხდა, სერია A-ში დიდი კლუბის შემადგენლობაში ვითამაშებ. „ფიორენტინა“ იმიტომ ავირჩიე, რომ „იებს“ ახალგაზრდა და პერსპექტიული გუნდი ჰყავთ. ჩემთვის დიდი პატივი იქნება იმ სტადიონზე თამაში, რომელზეც გაბრიელ ბატისტუტა ბრწყინავდა“ — თქვა იოვეტიჩმა.

აკვაფრესკა ატალანტაში?

რობერტო აკვაფრესკა, რომელმაც გასული სეზონი „კალიარის“ მაისურით მშვენივრად ჩაატარა, „ატალანტაში“ გადასვლასთან ახლოსაა. ახალგაზრდა თავდამსხმელი ამჟამად „ინტერისა“ და სარდინიელთა საკუთრებაა, თუმცა ფიფქმის გადაწყვეტილია, რომ „ნერაძური“ მას ბოლომდე გამოისყიდის, მერე კი ორი წლით ათხოვებს ბერგამოელებს.

დოსენა ლივერპულთან ახლოსაა

ოფიციალურად ტრანსფერი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ ანდრეა დოსენას აგენტის ფედერიკო პასტორელოს თქმით, უკვე შეგვიძლია, მისი კლიენტი „ლივერპულის“ ფეხბურთელად ჩავთვალოთ.

გავრცელებული ცნობით, „უდინეზე“ 26 წლის მცველში 10-11 მილიონ ევროს მიიღებს. დოსენას კი, ალბათ, ლუკა ანტონინითი შეცვლის, რომელიც „მილანისა“ და „ემპოლის“ საზიარო საკუთრებაა.

კოკი კანდელაკი

მორატის მაურინიუსი სჯერა

იტალიური „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ თქვა, რომ გუნდის ახალ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს ბოლომდე ენდობა. მას სჯერა, რომ პორტუგალიელი სპეციალისტის ხელში „ნერაძური“ დიდ წარმატებებს მიაღწევს.

„მაურინიუზე მისი ქცევისა და პოპულარობის გამო კი არ გაგვიკეთებია არჩევანი. იგი ბრწყინვალე სპეციალისტია, რომელსაც გამარჯვება და ტიტულების მოგება სწყურია. მისი მოყვანის მიზეზი სწორედ ეს გახლდათ. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ „ინტერში“ მას ყველანი ვენდობით და ჟოზესი ძალიან გვეიმედება. როგორც მაურინიუმ თქვა, რამდენიმე ფეხბურთელი გვაინტერესებს, მაგრამ ეს ახლა საჯაროდ გასარჩევი არ არის. ნელ-ნელა ყველაფერს გაიგებთ. საბედნიეროდ, ძლიერი გუნდი გვყავს და ბევრი ფეხბურთელის დამატებას არ ვაპირებთ, მაგრამ ერთ-ორ ახალ მოთამაშეს ალბათ შევიძენთ“ — აღნიშნა მორატიმ.

შეგახსენებთ, რომ „ინტერს“ ბოლო დროს სამუელ ეტოოს, დიდიე დროგბას, ფრენკ ლამპარდს, დეკუსა და სხვა მოთამაშეებს უკავშირებენ.

ამასთან, „ნერაძურის“ დირექტორმა გაბრიელე ორიალიმ განაცხადა, რომ პოსტიდან მოხსნილი რობერტო მანჩინი განადგურებულია.

„რობერტო დარწმუნებული იყო, რომ რჩებოდა, ახლა კი განადგურებულია. ერთად ბევრი რამ გამოვიარეთ, ასე ახლოს კლუბის არცერთ მწვრთნელთან არ ვყოფილვარ, მაგრამ რას ვიზამთ...“ — თქვა ორიალიმ.

გიორგი კაკაბაძე

მსაჯებმა თორმეტამდე გაითვალეს

ასე და ამგვარად, ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩს იტალიელი უმსაჯებს — შაბათს, ბაზელში, თანამასპინძლის, შვეიცარიისა და ჩეხეთის შეხვედრას რობერტო როზეტი გაუძღვება.

საინტერესოა, რომ ევროპის პირველობის გახსნითი შეხვედრის გაძღოლა იტალიელ არბიტრს უკვე მეორედ ერგო. ოთხი წლის წინ, ევრო 2004-ის პირველი თამაში პორტუგალიასა და საბერძნეთს შორის როზეტის დიდმა თანამემამულემ პირლუიჯი კოლინამ იმსაჯა.

რობერტო როზეტი

როზეტის ასისტენტები იქნებიან ალესანდრო გრიზელი და პაოლო კალჩანო. ამ შეხვედრის მეოთხე მსაჯად ფრანგი სტეფან ლანუა დაინიშნა.

რაც შეეხება მეორე თანამასპინძლის, ავსტრიის სტადიონებს, აქ პირველ შეხვედრას ჰოლანდიელი პეტერ ვინკი იმსაჯებს: ვენაში ხორვატია ავსტრიას უნდა შეხვდეს.

დღეისათვის ევრო 2008-ის პირველი თორმეტი მატჩის არბიტრია დანიშნული. მათ მხარში ამოუდგებიან თანამემამულე ასისტენტები, რომლებთან ერთადაც ხსენებულმა არბიტრებმა გასული სეზონი ჩაატარეს.

ოთხი წლის წინანდელი ევროპის ჩემპიონატიდან ახლანდელს ორი არბიტრი „გადმოყვა“. ერთ-ერთი მათგანია ცნობილი სლოვაკი ლუბოშ მიხელი, რომელიც მომავალ ოთხშაბათს შვეიცარიისა და თურქეთის დაპირისპირებისას ჩაერთვება საქმეში. მოგეხსენებათ, ამასწინათ მიხელმა მოსკოვში ჩემპიონთა ლიგის ფინალი იმსაჯა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ შორის.

მეორე მსაჯი, რომელიც ევრო 2004-ზე მოღვაწეობდა, გახლავთ ესპანელი მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი, რომელიც მიხელამდე ორი დღით ადრე, ორშაბათს, რუმინეთსა და საფრანგეთს განსჯის.

მომდევნო თამაშებზე მსაჯებს მოგვიანებით გაანაწილებენ.

პაპუნა კედია

7 ივნისი

შვეიცარია : ჩეხეთი — **რობერტო როზეტი; ალესანდრო გრიზელი, პაოლო კალჩანო (იტალია)**

პორტუგალია : თურქეთი — **ჰერბერტ ფანდელი; კარსტენ კადახი, ფოლკერ ვეცელი (გერმანია)**

8 ივნისი

ავსტრია : ხორვატია — **პეტერ ვინკი; ადრიაან ინია, ჰანს ტენ ჰოოვე (ჰოლანდია)**

გერმანია : პოლონეთი — **ტომ ჰენინგ ოვრებო; გეირ აგე ჰოლენი, იან პეტერ რანდენი (ნორვეგია)**

9 ივნისი

რუმინეთი : საფრანგეთი — **მეხუტო გონსალესი; ხუან ხიმენესი, ხესუს გუადამურო (ესპანეთი)**

ჰოლანდია : იტალია — **პეტერ ფროიდფელდტი; სტეფან ვიტბერგი, ჰენრიკ ანდრენი (შვედეთი)**

10 ივნისი

ესპანეთი : რუსეთი — **კონრად პლაუცი; ეგონ ბერუტერი, მარკუს მაირი (ავსტრია)**

საბერძნეთი : შვედეთი — **მასიმო ბუზაკა; მათიას არნე, სტეფან კუა (შვეიცარია)**

11 ივნისი

ჩეხეთი : პორტუგალია — **კირუს ვასარასი; დიმიტრიოს ბოზაციდისი, დიმიტრიოს სარაიდარისი (საბერძნეთი)**

შვეიცარია : თურქეთი — **ლუბოშ მიხელი; რომან სლისკო, მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)**

12 ივნისი

ხორვატია : გერმანია — **ფრანკ დე ბლეეკერე; პეტერ ერმანსი, ალექს ვერსტრატენი (ბელგია)**

ავსტრია : პოლონეთი — **ჰოვარდ ვებბი; დარენ კენი, მაიკლ მალარკეი (ინგლისი)**

ლიბერტადორესის თასი 2008

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ფლუმინენსე (ბრაზილია) 3:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (2:2)

0:1 პალერმო (57), 1:1 ვაშინგტონი (62), 2:1 იბარა (62სკ), 3:1 დიდო (90)

ფლუმინენსე: ფერნანდო ენრიკე, ტიაგუ სილვა, ლუიშ ალბერტუ, ჟუნიორ სეზარი, არეუკა, იგორი (დიდო 60), სისერუ, კონკა, ტიაგუ ნეგეში (მაურისიუ 80), ვაშინგტონი (როჟერი 90)

მწვრთნელი: რენატუ პორტალუპი

ბოკა ხუნიორსი: მილიორე, კასერესი, პალეტა, მორელი (ბოსელი 78), იბარა, რიკელმე, ბატალია, ვარგასი (ლედესმა 45), დატოლო (ჩავესი 84), პალერმო, პალასიო

მწვრთნელი: კარლოს იშია

გაფრთხილება: რიკელმე, ვაშინგტონი, არეუკა, პალერმო, დიდო, ჟუნიორ სეზარი

მსაჯი: კარლოს ტორესი (პარაგვაი)

78 856 მაყურებელი

პირველად მარაკანადან

კარლოს იშიას და ხუან რომან რიკელმეს თასის ჩაბარება მოუწევთ

ბრაზილიურმა „ფლუმინენსემ“ ლიბერტადორესის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის ბოლო 30 წუთში სამი გოლი გაიტანა და ფინალში გავიდა. „ფლუმინენსეს“ მეტოქე გახლდათ თასის ექვსგზის მფლობელი „ბოკა ხუნიორსი“, რაც იმას ნიშნავს, რომ წლეულს სამხრეთ ამერიკის უდიდესი საკლუბო თასის გამარჯვებული შეიცვლება.

ასე და ამგვარად, ბრაზილიურმა გუნდმა არგენტინულს 3:1 მოუგო, ორი მატჩის ჯამში კი 5:3 გამოუვიდა. თამაში, რომელზეც მოგახსენებთ, ლეგენდარულ „მარაკანაზე“ გაიმართა.

ასე და ამგვარად, „ლიბერტადორესის“ თასის ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან გუნდები, რომელთაგან აქამდე არცერთს არ მოუგია ხსენებული შეჯიბრება. მეტიც, როგორც „ფლუმინენსე“ ასევე ეკვადორული „ლიგა დე კიტო“ პირველად ითამაშებენ ფინალში.

„მარაკანაზე“ გამართულ შეხვედრაში მასპინძლებმა თამაშის ბოლო წუთებში, როდესაც ანგარიში 2:1 იყო მათ სასარგებლოდ, სტუმრების დიდ შეტევებს გაუძლეს, ხოლო მსაჯის წამათებულ მესამე წუთზე დოდომ მესამე გაიტანა და საბოლოო წერტილი დასვა.

„ფლუმინენსეს“ მეკარემ ფერნანდო ენრიკემ ბოკელ მარტინ პალერმოს ჯერ კიდევ პირველი ტაიმის ბოლოს არ მისცა ანგარიშის გახსნის საშუალება, თავით დარტყმული აუღო. ცნობილმა არგენტინელმა ფორვარდმა კიდევ ორჯერ შექმნა მასპინძელთა კართან სახიფათო მომენტი, 58-ე წუთზე კი გარჯა დაუფასდა, მეურვეს დაუსხლტა და დარიო კონკას ჩაწოდებულს კვლავ და კვლავ თავით მიუჩინა ადგილი მეტოქის კარში.

„ფლუმინენსემ“ ხუთ წუთში უპასუხა: თავდამსხმელმა ვაშინგტონმა 25 მეტრიდან ჯარიმა ჩაახვია, 71-ეზე კი, არგენტინელთა მცველმა უგო იბარამ ზემოხსენებული კონკასგან ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამის შემდეგ, როგორც გითხარით, სტუმრებმა მასპინძლებს დიდი შტურმი მოუწყვეს: ენრიკემ სებასტიან ბატალიას ძნელად მოსაგერიებელ დარტყმას გაართვა თავი, შემდეგ ისევ პალერმოს ჰქონდა მომენტი, რომელსაც კვლავ ენრიკემ გადაუღობა გზა, ბოლოს კი ტიაგუ სილვამ ზედ ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

მერე ლედესმამ ააცილა ოდნავ, რასაც ისევ ენრიკეს ლამაზი ნახტომი მოყვა — ისევ პალერმო არტყამდა. მაკრატელა დარტყმით გოლის გატანა შეეძლო დატოლოსაც.

და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ფლუმინენსემ“ წერტილი მსაჯის მესამე წამატებულ წუთზე დასვა — როდრიგო პალასიომ ბურთის დაცვიდან გამოტანის ცდისას პასი მეტოქე დოდოს მიაწოდა, ვინც მეკარე პაოლო მილიორეს მშვიდად გაუტანა.

პაპუნა კედია

აშუ

მეიჯორლიგა. XII ტური

ვაშინგტონი — პიუსტონი გადაიდო

ბრაზილია

თასი. ფინალი. I მატჩი

კორინთიანსი 3:1 რესიფე

ამხანაგური მატჩები

პანამა 2:2 კანადა

ჩილე 2:0 გვატემალა

მექსიკა 1:4 არგენტინა

სარბიელი ᲓᲐ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია C						
		8 ივნისი						
18:00	262	კრემონეზე-ჩიტადელა	1.90	2.70	4.65	1.11	1.34	1.70
18:00	263	ანკონა-ტარანტო	2.35	2.70	3.25	1.25	1.36	1.47
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		7 ივნისი						
20:30	145	ელჩე-ჰერკულესი	2.40	2.90	3.05	1.31	1.34	1.48
		8 ივნისი						
20:00	144	კადისი-სევილი ბ	1.55	3.50	6.50	1.07	1.25	2.27
20:00	146	ლას პალმასი-სერესი	3.30	2.90	2.25	1.54	1.33	1.26
20:00	147	ეხიდო-ალბასეტე	2.60	3.15	2.55	1.42	1.28	1.40
20:00	148	ეიბარი-ნუმანსია	1.85	3.20	4.35	1.17	1.29	1.84
20:00	149	კასტელონი-სპორტინგი	3.75	3.00	2.05	1.66	1.32	1.21
20:00	150	კორდობა-ფეროლი	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
20:00	151	ალავესი-სოსიედადი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
20:00	152	სალამანკა-სელტა	2.15	2.90	3.60	1.23	1.34	1.60
20:00	153	ტენერიფე-ტარაგონა	2.15	2.90	3.60	1.23	1.34	1.60
20:00	154	გრანადა-მალაგა	3.40	3.10	2.10	1.62	1.29	1.25
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		7 ივნისი						
18:00	174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	3.10	3.40	2.15	1.62	1.26	1.31
		8 ივნისი						
18:00	173	მოლდე-ლინი	2.25	3.40	2.90	1.35	1.26	1.56
18:00	175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.80	3.40	4.30	1.17	1.26	1.89
18:00	176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1.95	3.40	3.60	1.23	1.26	1.74
18:00	177	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		7 ივნისი						
18:00	182	ოდ გრენლანდი-ბრინი	1.45	4.30	6.20	1.08	1.17	2.53
		8 ივნისი						
20:00	178	ლოვ ჰამი-მოსი	2.40	3.40	2.70	1.40	1.27	1.50
20:00	179	სტარტი-ჰაუგესუნდი	1.50	4.20	5.80	1.10	1.19	2.43
20:00	180	ალტა-ნიბერგსუნდი	2.30	3.40	2.85	1.37	1.27	1.55
20:00	181	ჰიოდი-სანდნესი	2.10	3.40	3.25	1.29	1.27	1.66
20:00	183	ჰიონეფოსი-ნოტოდენი	2.05	3.40	3.40	1.27	1.27	1.70
20:00	184	სპარტა ს-სანდეფიორდი	2.70	3.40	2.40	1.50	1.27	1.40
20:00	185	კონგსვინგერი-სოგნდალი	2.40	3.40	2.65	1.40	1.25	1.48
		არგენტინა. კლაუსურა						
		7 ივნისი						
23:10	218	რასინგი-ურაკანი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
04:15	219	ნიუელზი-ხიმნასია ჟ	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
01:50	224	არსენალი-ხიმნასია ლპ	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
		8 ივნისი						
01:20	215	სან მარტინი-როსარიო	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
23:20	216	ესტუდიანტესი-კოლონი	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
23:20	217	რივერ პლეიტი-ოლიმპო	1.37	3.90	7.50	1.01	1.15	2.56
04:10	220	სან ლორენსო-ბანფილდი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
01:20	221	ტიგრე-არგინტინოს ხუნიორსი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
21:00	223	ველესი-ინდეპენდიენტე	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		9 ივნისი						
01:40	222	ლანუსი-ბოკა ხუნიორსი	3.40	3.10	2.00	1.62	1.25	1.21
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		8 ივნისი						
01:10	225	იპატინგა-ნაუტიკო	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
01:10	226	სან პაულუ-ატლეტიკო მნ	1.60	3.60	5.30	1.10	1.22	2.14
01:10	227	ფლამენგო-ფიგეირენსე	1.60	3.60	5.25	1.10	1.22	2.13
23:00	228	ატლეტიკო პრ-გოიასი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
23:00	229	გრემიო-ფლუმინენსე	1.50	3.70	6.30	1.06	1.21	2.33
23:00	230	სპორტ რისიფე-პალმეირასი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
23:00	231	პორტუგესა-ინტერნასიონალი	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
		9 ივნისი						
01:10	232	ვიტორია-სანტოსი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
01:10	233	კრუზეირო-ვასკუ და გამა	1.65	3.40	5.25	1.11	1.25	2.06
01:10	234	ბოტაფოგო-კურიტიბა	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		7 ივნისი						
20:00	1	შვეიცარია-ჩეხეთი	2.75	3.20	2.50	1.47	1.30	1.40
22:45	2	პორტუგალია-თურქეთი	1.75	3.30	5.00	1.14	1.29	1.98

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	შვეიცარია-ჩეხეთი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10002	პორტუგალია-თურქეთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	3.50	2.00	2.50	1.27	1.45	1.11
10003	ავსტრია-ხორვატია	4.70	2.10	2.10	1.45	1.45	1.04
10004	გერმანია-პოლონეთი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10173	მოლდე-ლინი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10177	ლილესტრიომი-ალესუნდი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10005	რუმინეთი-საფრანგეთი	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04
10006	ჰოლანდია-იტალია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10007	ესპანეთი-რუსეთი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10008	საბერძნეთი-შვედეთი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10010	შვეიცარია-თურქეთი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10011	ხორვატია-გერმანია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10012	ავსტრია-პოლონეთი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10013	იტალია-რუმინეთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10015	შვედეთი-ესპანეთი	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04
10016	საბერძნეთი-რუსეთი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10017	შვეიცარია-პორტუგალია	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10018	თურქეთი-ჩეხეთი	3.80	2.00	2.35	1.31	1.45	1.08
10019	პოლონეთი-ხორვატია	4.10	2.00	2.30	1.34	1.47	1.06
10020	ავსტრია-გერმანია	7.00	2.50	1.55	1.84	1.26	1.00
10021	ჰოლანდია-რუმინეთი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10022	საფრანგეთი-იტალია	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10023	რუსეთი-შვედეთი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10024	საბერძნეთი-ესპანეთი	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	შვეიცარია-ჩეხეთი	4.40	4.00	3.60	20.00	4.40	4.80	20.00	10.00	10.00
11002	პორტუგალია-თურქეთი	4.40	10.00	7.00	2.70	10.00	3.60	20.00	20.00	6.00
11174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	4.40	10.00	20.00	5.30	4.40	20.00	10.00	3.30	4.60
11003	ავსტრია-ხორვატია	7.50	2.50	10.00	20.00	4.40	20.00	10.00	7.00	3.50
11004	გერმანია-პოლონეთი	10.00	2.30	7.00	10.00	20.00	7.50	4.60	20.00	3.50
11173	მოლდე-ლინი	4.40	4.60	3.40	10.00	4.40	5.00	20.00	10.00	20.00
11175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	20.00	7.00	3.60	2.70	4.40	6.00	10.00	20.00	10.00
11176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	6.50	3.80	5.60	10.00	20.00	4.40	20.00	2.90	10.00
11177	ლილესტრიომი-ალესუნდი	4.60	10.00	7.50	3.50	20.00	10.00	7.00	20.00	2.30
11005	რუმინეთი-საფრანგეთი	10.00	3.50	7.00	10.00	20.00	4.40	20.00	7.50	2.50
11006	ჰოლანდია-იტალია	4.40	20.00	20.00	10.00	4.40	4.60	3.50	5.00	10.00
11007	ესპანეთი-რუსეთი	7.00	10.00	20.00	3.50	4.60	2.30	7.50	20.00	10.00
11008	საბერძნეთი-შვედეთი	4.40	20.00	10.00	4.40	20.00	10.00	3.60	4.80	4.00
11009	ჩეხეთი-პორტუგალია	4.40	10.00	4.60	5.00	20.00	10.00	4.40	3.50	20.00
11010	შვეიცარია-თურქეთი	5.30	10.00	4.40	6.00	20.00	20.00	10.00	3.00	4.00
11011	ხორვატია-გერმანია	10.00	20.00	4.40	4.60	5.00	20.00	10.00	3.50	4.40
11012	ავსტრია-პოლონეთი	4.40	3.50	4.40	20.00	4.60	20.00	10.00	5.00	10.00
11013	იტალია-რუმინეთი	7.00	6.00	10.00	10.00	20.00	4.40	3.60	20.00	2.70
11014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.60	10.00	20.00	4.40	4.40	4.00	20.00	10.00	4.80
11015	შვედეთი-ესპანეთი	2.50	10.00	20.00	7.00	3.50	4.40	20.00	10.00	7.50
11016	საბერძნეთი-რუსეთი	10.00	4.60	20.00	4.40	20.00	10.00	4.00	3.60	4.80
11017	შვეიცარია-პორტუგალია	10.00	4.20	4.80	10.00	20.00	20.00	3.30	5.60	4.40
11018	თურქეთი-ჩეხეთი	5.60	3.30	4.40	4.20	20.00	10.00	10.00	20.00	4.80
11019	პოლონეთი-ხორვატია	3.00	20.00	6.00	5.30	4.40	4.00	10.00	20.00	10.00
11020	ავსტრია-გერმანია	10.00	9.00	10.00	20.00	4.80	20.00	10.00	1.90	3.50
11021	ჰოლანდია-რუმინეთი	10.00	3.00	20.00	4.00	4.40	6.00	10.00	20.00	5.30
11022	საფრანგეთი-იტალია	3.60	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	4.00	10.00	10.00
11023	რუსეთი-შვედეთი	3.60	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	4.00
11024	საბერძნეთი-ესპანეთი	7.50	10.00	20.00	4.40	20.00	10.00	6.50	2.60	3.60

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 ივნისი						
20:00	3	ავსტრია-ხორვატია	4.50	3.30	1.85	1.90	1.31	1.18
22:45	4	გერმანია-პოლონეთი	1.57	3.50	6.50	1.08	1.26	2.27
		9 ივნისი						
20:00	5	რუმინეთი-საფრანგეთი	4.60	3.30	1.80	1.92	1.29	1.16
22:45	6	ჰოლანდია-იტალია	3.00	3.20	2.40	1.54	1.33	1.37
		10 ივნისი						
20:00	7	ესპანეთი-რუსეთი	1.73	3.30	5.20	1.13	1.29	2.01
22:45	8	საბერძნეთი-შვედეთი	2.90	3.10	2.50	1.49	1.34	1.38
		11 ივნისი						
20:00	9	ჩეხეთი-პორტუგალია	3.15	3.20	2.30	1.58	1.32	1.33
22:45	10	შვეიცარია-თურქეთი	2.25	3.20	3.20	1.32	1.32	1.60
		12 ივნისი						
20:00	11	ხორვატია-გერმანია	3.50	3.20	2.10	1.67	1.31	1.26
22:45	12	ავსტრია-პოლონეთი	3.10	3.20	2.30	1.57	1.32	1.33
		13 ივნისი						
20:00	13	იტალია-რუმინეთი	1.75	3.30	5.00	1.14	1.29	1.98
22:45	14	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.90	3.10	2.45	1.49	1.32	1.36

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 ივნისი						
20:00	15	შვედეთი-ესპანეთი	4.80	3.30	1.80	1.95	1.30	1.16
22:45	16	საბერძნეთი-რუსეთი	2.60	3.10	2.70	1.41	1.32	1.44
		15 ივნისი						
22:45	17	შვეიცარია-პორტუგალია	3.20	3.10	2.30	1.57	1.33	1.32
22:45	18	თურქეთი-ჩეხეთი	3.10	3.20	2.25	1.57	1.30	1.32
		16 ივნისი						
20:00	19	პოლონეთი-ხორვატია	3.30	3.20	2.20	1.62	1.32	1.30
22:45	20	ავსტრია-გერმანია	8.00	3.70	1.45	2.52	1.22	1.04
		17 ივნისი						
22:45	21	ჰოლანდია-რუმინეთი	1.90	3.20	4.25	1.19	1.31	1.82
22:45	22	საფრანგეთი-იტალია	2.90	3.00	2.55	1.47	1.35	1.37
		18 ივნისი						
20:00	23	რუსეთი-შვედეთი	2.60	3.20	2.60	1.43	1.29	1.43
22:45	24	საბერძნეთი-ესპანეთი	4.20	3.20	1.90	1.81	1.30	1.19
		ჩოგბურთი, კაცები Roland Garros						
		6 ივნისი						
14:00	269	ნადალი-ჯოკოვიჩი			1.15			4.20
14:00	271	ფედერერი-მონფილსი			1.05			6.50

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12001	შვეიცარია-ჩეხეთი	2,5	1.60	2.00
12002	პორტუგალია-თურქეთი	2,5	1.60	2.00
12174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	2,5	1.90	1.70
12003	ავსტრია-ხორვატია	2,5	1.70	1.90
12004	გერმანია-პოლონეთი	2,5	1.90	1.70
12173	მოლდე-ლინი	2,5	2.00	1.60
12175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	2,5	2.00	1.60
12176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	2,5	1.90	1.70
12177	ლილესტრიომი-ალესუნდი	2,5	2.00	1.60
12005	რუმინეთი-საფრანგეთი	2,5	1.60	2.10
12006	ჰოლანდია-იტალია	2,5	1.55	2.30
12007	ესპანეთი-რუსეთი	2,5	1.60	2.00
12008	საბერძნეთი-შვედეთი	2,5	1.55	2.30
12009	ჩეხეთი-პორტუგალია	2,5	1.70	1.90
12010	შვეიცარია-თურქეთი	2,5	1.70	1.90
12011	ხორვატია-გერმანია	2,5	1.70	1.90
12012	ავსტრია-პოლონეთი	2,5	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13001	შვეიცარია-ჩეხეთი	1.70	1.90
13002	პორტუგალია-თურქეთი	1.70	1.90
13174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	1.60	2.00
13003	ავსტრია-ხორვატია	1.70	1.90
13004	გერმანია-პოლონეთი	1.90	1.70
13173	მოლდე-ლინი	1.50	2.10
13175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.50	2.10
13176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1.60	2.00
13177	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.60	2.00
13005	რუმინეთი-საფრანგეთი	1.90	1.70
13006	ჰოლანდია-იტალია	1.70	1.90
13007	ესპანეთი-რუსეთი	1.70	1.90
13008	საბერძნეთი-შვედეთი	1.70	1.90
13009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.70	1.90
13010	შვეიცარია-თურქეთი	1.70	1.90
13011	ხორვატია-გერმანია	1.70	1.90
13012	ავსტრია-პოლონეთი	1.70	1.90

გოლი:ფყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფყვილად)

17001	შვეიცარია-ჩეხეთი	1.85	1.95
17002	პორტუგალია-თურქეთი	1.85	1.95
17174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	1.85	1.95
17003	ავსტრია-ხორვატია	1.85	1.95
17004	გერმანია-პოლონეთი	1.85	1.95
17173	მოლდე-ლინი	1.85	1.95
17175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.85	1.95
17176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1.85	1.95
17177	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.85	1.95
17005	რუმინეთი-საფრანგეთი	1.85	1.95
17006	ჰოლანდია-იტალია	1.85	1.95
17007	ესპანეთი-რუსეთი	1.85	1.95
17008	საბერძნეთი-შვედეთი	1.85	1.95
17009	ჩეხეთი-პორტუგალია	1.85	1.95
17010	შვეიცარია-თურქეთი	1.85	1.95
17011	ხორვატია-გერმანია	1.85	1.95
17012	ავსტრია-პოლონეთი	1.85	1.95
17013	იტალია-რუმინეთი	1.85	1.95
17014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.85	1.95
17015	შვედეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95
17017	შვეიცარია-პორტუგალია	1.85	1.95
17018	თურქეთი-ჩეხეთი	1.85	1.95
17019	პოლონეთი-ხორვატია	1.85	1.95
17020	ავსტრია-გერმანია	1.85	1.95
17021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.85	1.95
17022	საფრანგეთი-იტალია	1.85	1.95
17023	რუსეთი-შვედეთი	1.85	1.95
17024	საბერძნეთი-ესპანეთი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	შვეიცარია-ჩეხეთი	3.00	2.80	2.00
15002	პორტუგალია-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	3.00	2.80	2.00
15003	ავსტრია-ხორვატია	3.00	2.80	2.00
15004	გერმანია-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15173	მოლდე-ლინი	3.00	2.80	2.00
15175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	3.00	2.80	2.00
15176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	3.00	2.80	2.00
15177	ლილესტრიომი-ალესუნდი	3.00	2.80	2.00
15005	რუმინეთი-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15006	ჰოლანდია-იტალია	3.00	2.80	2.00
15007	ესპანეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15008	საბერძნეთი-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15009	ჩეხეთი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15010	შვეიცარია-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15011	ხორვატია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15012	ავსტრია-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15013	იტალია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15016	საბერძნეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15017	შვეიცარია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15018	თურქეთი-ჩეხეთი	3.00	2.80	2.00
15019	პოლონეთი-ხორვატია	3.00	2.80	2.00
15020	ავსტრია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15021	ჰოლანდია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15022	საფრანგეთი-იტალია	3.00	2.80	2.00
15023	რუსეთი-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15024	საბერძნეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16001	შვეიცარია-ჩეხეთი	1.95	1.65
16002	პორტუგალია-თურქეთი	1.30	3.00
16174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	2.20	1.52
16003	ავსტრია-ხორვატია	2.90	1.32
16004	გერმანია-პოლონეთი	1.23	3.60
16173	მოლდე-ლინი	1.58	2.10
16175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.30	3.00
16176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1.38	2.65
16177	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.24	3.60
16005	რუმინეთი-საფრანგეთი	3.00	1.30
16006	ჰოლანდია-იტალია	2.10	1.60
16007	ესპანეთი-რუსეთი	1.24	3.60
16008	საბერძნეთი-შვედეთი	1.85	1.80
16009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.10	1.60
16010	შვეიცარია-თურქეთი	1.50	2.30
16011	ხორვატია-გერმანია	2.10	1.60
16012	ავსტრია-პოლონეთი	2.10	1.60
16013	იტალია-რუმინეთი	1.30	3.00
16014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.05	1.65
16015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	1.30
16016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.95
16017	შვეიცარია-პორტუგალია	2.20	1.50
16018	თურქეთი-ჩეხეთი	2.30	1.45
16019	პოლონეთი-ხორვატია	2.45	1.40
16020	ავსტრია-გერმანია	5.70	1.11
16021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.40	2.55
16022	საფრანგეთი-იტალია	2.05	1.65
16023	რუსეთი-შვედეთი	1.95	1.65
16024	საბერძნეთი-ესპანეთი	2.90	1.32

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზაგებულად ჩაითვლება)

14001	შვეიცარია-ჩეხეთი	1.90	1.90
14002	პორტუგალია-თურქეთი	1.65	2.30
14174	სტრომგოდსეტი-სტაბეკი	2.10	1.75
14003	ავსტრია-ხორვატია	2.30	1.65
14004	გერმანია-პოლონეთი	1.45	2.40
14173	მოლდე-ლინი	1.80	2.00
14175	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.65	2.30
14176	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1.70	2.20
14177	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.45	2.40
14005	რუმინეთი-საფრანგეთი	2.30	1.65
14006	ჰოლანდია-იტალია	2.00	1.80
14007	ესპანეთი-რუსეთი	1.45	2.40
14008	საბერძნეთი-შვედეთი	1.90	1.90
14009	ჩეხეთი-პორტუგალია	2.00	1.80
14010	შვეიცარია-თურქეთი	1.75	2.10
14011	ხორვატია-გერმანია	2.00	1.80
14012	ავსტრია-პოლონეთი	2.00	1.80
14013	იტალია-რუმინეთი	1.65	2.30
14014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.95	1.85
14015	შვედეთი-ესპანეთი	2.30	1.65
14016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95
14017	შვეიცარია-პორტუგალია	2.00	1.80
14018	თურქეთი-ჩეხეთი	2.10	1.75
14019	პოლონეთი-ხორვატია	2.20	1.70
14020	ავსტრია-გერმანია	2.60	1.20
14021	ჰოლანდია-რუმინეთი	1.70	2.20
14022	საფრანგეთი-იტალია	1.95	1.85
14023	რუსეთი-შვედეთი	1.90	1.90
14024	საბერძნეთი-ესპანეთი	2.20	1.70

ბოლოს წაგებული მატჩები

მანუჩარ მარკოიშვილმა სეზონი შეაფასა

მანუჩარ მარკოიშვილმა მორიგი სტაბილური სეზონი ჩაატარა — ამჯერად უკრაინულ „ბკ კიევში", თუმც წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად უტიტულოდ დარჩა. მისმა გუნდმა უკრაინის თასიც დათმო, ჩემპიონიც ვერ გახდა და ულებ-ის თასისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან გამოეთიშა. მარკოიშვილი ხვალიდან იტალიის ქალაქ ტრევიზოს კემპზე დაენახება ევროპელ თუ ამერიკელ სპეციალისტებს, წასვლამდე კი კალათბურთის ფედერაციის საიტმა (GBF.GE) მასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა...

— მანუჩარ, პირველ რიგში, ფინალური სერია გავიხსენოთ. ფავორიტები იყავით და მაინც დამარცხდით...

— მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საკუთარ მოედანზე მეორე შეხვედრა დავთმეთ. სხვა მხრივ, ყველა წაგებული მატჩი ძალიან ცუდად დავიწყეთ და ყოველთვის 10 და მეტი ქულის დეფიციტის ამოქაჩვა გვჭირდებოდა. ძალა არ გვეყო ბოლოში, თორემ შეიძლებოდა იმ სამი მატჩისა და შესაბამისად, მთელი სერიის მოგება.

— არად, რეგულარულში ერთადერთი მატჩი დათმეთ „აზოვმაშთან"...

— „აზოვმაში" სერიოზული გუნდია, რომელსაც საკმაოდ მაღალი დონის მოთამაშეები ჰყავდა და დაფინანსებაც სოლიდური ჰქონდა, თანაც, ჩვენგან განსხვავებით, „აზოვმაში" უფრო თავისუფლად თამაშობდა. ისინი, ჩემი აზრით, ჩვენზე მეტად შეთამაშებულები იყვნენ.

— თავისუფალი თამაში რაში გამოიხატება?

— მიჭირს კონკრეტული მიზეზის დასახელება, მაგრამ ფაქტია, რომ „აზოვმაში" უფრო თავისუფლად გადიოდა მოედანზე და უფრო ლაღ კალათბურთს თამაშობდა. ფსიქოლოგიური ზეწოლა ორივე გუნდს ჰქონდა და მას მერე, რაც „აზოვმაშმა" გასვლაზე ერთი მატჩი მოგვიგო, ფინალში უპირატესობა, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე მოედნის, ჩვენი მეტოქის მხარეს გადავიდა.

— „აზოვმაშიდან" ფინალებში ყველაზე ბევრი პრობლემა პანაიოტის ლიადელისმა და იგორ მეშჩერიაკოვმა შეგიქმნათ, არა?

— ლიადელისმა ყველა მატჩი არაჩვეულებრივად დაიწყო, თავიდანვე ბევრ ქულას აგროვებდა. „აზოვმაშში" ძალიან ბევრი კომბინაცია მასზეა ავებული და მსაჯებისგანაც „პატივისცემით" სარგებლობს, რადგან გამოცდილი კალათბურთელია და საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს. ასეთ ავტორიტეტს დამსახურება კი უნდა, მაგრამ ჩემთვის პირადად ეს მიუღებელია. რაც შეეხება მეშჩერიაკოვს, სამწამიანში თითქმის შეუჩერებელი იყო. თანაც, ჩვენთან რაც კი ისროლა, თითქმის ყველაფერი ჩააგდო და საკმაოდ მაღალი პროცენტით შეასრულა ყველა სროლა. მას ან სტაკი იჭერდა, ან მარკო მარავიჩი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეშჩერიაკოვმა მაგრად ითამაშა. თუმცა ჩემი აზრით, „აზოვმაშს" მაინც რობერტ არჩიბალდმა მოაგებინა, რომლის წინააღმდეგაც თითქმის ყოველთვის ორმაგი მეურვეობის დაყენება გვჭირდებოდა. არჩიბალდმა დროული პასებიც არიგა, დაცვაშიც მაგრად იდგა, თანაც, ყოველთვის ზეხისტად თამაშობდა და ალბათ, დამსახურებულადაც მიიღო ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშის ტიტული. მისი კარგი თამაში რომ არა, „აზოვმაში" ოქროს მედლებს ვერ მოიპოვებდა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ჩვენს მეტოქეს არ ჰყავდა ერთი წამყვანი მოთამაშე ლაშჩუკი, რომელიც როდესაც მოედანზეა, მეშჩერიაკოვს სათამაშო დროს უნახევრებს.

— ფინალებში რატომ არ იყავი ისეთივე აქტიური, როგორც რეგულარულში?

— ტრავმამ საკმაო დრო წამართვა და აქედან გამომდინარე, მწვრთნელებიც ფიქრობდნენ, რომ ბოლომდე მზად არ ვიყავი. ძირითადად, დაცვაში თამაშზე მაკეთებინებდნენ აქცენტს. რეგულარულში ჩემზე კომბინაციებს მეტად ათამაშებდნენ, პლეი ოფში კი უკვე ნაკლებად მენდობოდნენ. თუნდაც მესამე მატჩი ავიღოთ, როდესაც რამდენიმე სროლა გავაფუჭე და მერე გუნდიც სხვაზე აკეთებდა აქცენტს. იმ შეხვედრაში ქულაც კი ვერ გავაკეთე, თუმცა მიუხედავად ამისა, იმ მატჩის მოგება რეალური იყო. ბოლოში გუნდის კაპიტანმა დროზდოვმა ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოხსნა და იოლი სროლა ვერ გამოიყენა, თორემ მატჩს მინიმუმ, დამატებით დროში გადავიყვანდით.

— გუნდის საბოლოო შედეგი როგორ შეაფასა ხელმძღვანელობამ?

— რა თქმა უნდა, გაღიზიანებულნი იყვნენ, რადგან ვერაფერი ვერ მოვიგეთ. იყო მატჩები, როდესაც არაჩვეულებრივ კალათბურთს ვთამაშობდით, მაგრამ სპონსორებიც და საერთოდ, გუნდის ბედით დაინტერესებული ხალხიც უარყოფითად აფასებს საბოლოო შედეგს. ახლაც გაურკვეველია გუნდის მომავალი, რადგან არავინ იცის, თუ ვინ იქნება „კიევის" სპონსორი შემდეგ სეზონში. გუნდის მფლობელები უკმაყოფილონი იყვნენ მწვრთნელებით, მოთამაშეებით, რაც სავსებით გასაგები და მისაღებიცაა.

— უშუალოდ შენი თამაში როგორ შეაფასებ გუნდის ხელმძღვანელებმა?

— ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც კითხვაზე, თუ ვის დაიტოვებდით გუნდშიო, დროზდოვის მერე მეორე ადგილზე გავედი. ხელმძღვანელებიდან კი არავის არაფრი უთქვამს. დროზდოვი გუნდის ყველაზე პოპულარული წევრია, ნაკრებშიც თამაშობს და გულშემატკივრებშიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

— მანუ, თქვენ უფრო სოლიდური შემადგენლობა გყავდათ თუ „აზოვმაშს"?

— მთავარი შეცდომა, რაც ხელმძღვანელებმა გუნდის დაკომპლექტებისას დაუშვეს, ძლიერი ცენტრის არშეძენა იყო. ჩამოვიყვანეთ ოთხი თავდამსხმელი და არც ერთი ცენტრი! უფრო ძვირიც დაჯდა მათი შენახვა და საბოლოოოდ, „აზოვმაშთან" ალბათ, უცენტრობის გამო დავმარცხდით. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო.

— მოდი, გავიხსენოთ ევროასპარეზზე თქვენი გუნდის ბოლო მატჩი პოლონურ „ტუროვთან", როდესაც ძირითადის დასრულებამდე 9 წამი რჩებოდა და ერთი ზუსტი სამიანის შემთხვევაში, შეხვედრა დამატებითში გადადიოდა...

— ის შეხვედრა მე სათადარიგოებში დავიწყე და საკმაოდ კარგადაც ვითამაშე, თუმცა მსაჯმა ზედიზედ სამი ჯარიმა მომცა და როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, სულ ტყუილად. მეორე დღეს ერთად ვუყურეთ შეხვედრას და მსაჯმაც მომიბოდიშა, ორჯერ შევცდიო. იმ ჯარიმებმა დრო მაგრად შემიკვეცა. ამან ჩემზეც იმოქმედა და საერთოდ, მთლიანად გუნდზეც. ძირითადის დასრულებამდე 9 წამით ადრე „ტუროვმა" საშუალო მანძილიდან ჩააგდო და სხვაობა 9 ქულა გახდა. საკუთარ მოედანზე 12 ქულით წავაგეთ და დამატებითში რომ გადაგვეყვანა მატჩი, მინიმუმ ასეთივე სხვაობით უნდა მოგვეგო. მაჰორიჩი იღებს წუთშესვენებას და ბოლო შეტევაზე შემადგენლობაში შემდეგი მოთამაშეები დააყენა — დროზდოვი, მარკუს ფეისონი, მე, პუჰ ჯეტერი და მარავიჩი. ოთხნი ვდგებოდით ფართან და ჯეტერს ერთი-ერთზე უნდა შეეტია, მერე უნდა ამოვწეულიყავით და ჯეტერს დროული პასით ვინმე უნდა მოენახა. ჯეტერმა პასის გაცემა ცოტა დააგვიანა, მე სწრაფად ამოვედი, მაგრამ ალბათ, სხვისთვის აპირებდა ბურთის მიცემას, მერე გადაიფიქრა და მე მომაწოდა. ოპონენტი ცრუ მოძრაობით ჰაერში ავწიე და ვისროლე, ბურთი რკალზე დატრიალდა და სამწუხაროდ, კალათში არ ჩაშვა. რატომღაც მეგონა, რომ ამ მატჩში რაღაც განსაკუთრებული უნდა გამეკეთებინა. სამწუხაროდ, არ გამიმართლა.

— მოდი, თასის ფინალიც გავიხსენოთ.

— კიდევ ერთხელ მომიწევს იმის თქმა, რომ ცუდად დავიწყეთ და შემდგომში დიდი ჰანდიკაპის აღმოფხვრა გვჭირდებოდა. მწვრთნელიც იბნეოდა. მერე, „აზოვმაშმა" რაც კი ისროლა პირველ მეოთხედში, მგონი მხოლოდ 2 ვერ გამოიყენა. პირველი ტაიმის მერე ვაგებდით 13 ქულას, რის შემდეგაც სხვაობა 6 ქულამდე შევამცირეთ, მაგრამ მერე „აზოვმაშმა" ორი მნიშვნელოვანი სამიანი ჩააგდო და წელში გაგვტეხა. ჯეტერმა ცუდად ითამაშა და მწვრთნელმა საღლაც 10 წუთის განმავლობაში გამთამაშებლად მე დამაყენა. ამანაც ვერ გვიშველა.

— გამთამაშებლად ხშირად გიწევდა თამაში?

— იყო შეხვედრები, როდესაც შეტევაშიც და დაცვაშიც პირველ ნომრად მე ვიდექი, თუმცა უფრო დაცვაში, რადგან შეტევაში მხოლოდ მაშინ ვიყავი პლეიმეიკერი, როდესაც ჯეტერი ისვენებდა.

— დრაფტზე დადგომას არ აპირებ?

— ალბათ, არა.

— შენს უახლოეს გეგმებში რა შედის?

— ტრევიზოს კემპზე მივდივარ, სადაც ჩემს გარდა გიორგი ცინცაძე და გიორგი შერმადინიც იქნებიან. ამის შემდეგ მარცხენა კოჭზე ოპერაციის გაკეთება მინდა და ნაკრების განკარგულებაში ვიქნები.

კალათბურთის ფედერაციამ საქართველოს ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატის (B დივიზიონი) 2008 წლს მატჩებისთვის მოსამზადებელი გეგმა დაამტკიცა, რომელიც შედგება შეკრებებისა და საკონტროლო მატჩებისგან

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზი

მოსამზადებელი გეგმა

25-31 ივლისი — თბილისი, საწვრთნელი შეკრება საქართველოში მოთამაშე კალათბურთელთა გაფართოებული შემადგენლობისთვის

1 აგვისტო — სამედიცინო შემოწმება

1-8 აგვისტო — თბილისი, ნაკრების საწვრვთნელი შეკრება

8 აგვისტო — გამგზავრება სტამბოლში (თურქეთი)

8-14 აგვისტო — სტამბოლი, ნაკრების საწვრთნელი შეკრება

14 აგვისტო — გამგზავრება კიევში (უკრაინა)

15-16 აგვისტო — კიევი, 2 საკონტროლო მატჩი უკრაინის ნაკრებთან

17-23 აგვისტო — სტამბოლი, ნაკრების საწვრთნელო შეკრება

24 აგვისტო — გამგზავრება რიგაში (ლატვია)

25-27 აგვისტო — რიგის, საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეები: საქართველო, ლატვია, ჩეხეთი, საფრანგეთი

28 აგვისტო — გამგზავრება ვენაში (ავსტრია)

29-30 აგვისტო — ვენა. 2 საკონტროლო მატჩი ავსტრიის ნაკრებთან

31 აგვისტო — გამომგზავრება თბილისში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

5 სექტემბერი. თბილისი

საქართველო — ლუქსემბურგი

10 სექტემბერი. დუბლინი

ირლანდია — საქართველო

13 სექტემბერი. თბილისი

საქართველო — სლოვაკეთი

17 სექტემბერი. უმეო

შვედეთი — საქართველო

ერვნული ნაკრების კანდიდატების გაფართოებული სია

(34 კანდიდატი)

უკანა ხაზი: *გიორგი ცინცაძე, ტაირონ ელისი, ლაშა გამყრელიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა, კოტე ტულუში, ბესიკ ლეჟავა, მიხეილ ჭოჭუა, შოთა ზეცურიანი, მიხეილ ჩიტაშვილი, მიხეილ ფანწულიძე, ტატო ვაშაკიძე, კოკა ტომარაძე, თორნიკე შენგელია, ლაშა ფარლალავა, გიორგი გაფრინდაშვილი*

ფორვარდები: *ვლადიმერ ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, ნიკა ცქიტიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, რეზო დიდია, გიორგი მარკოიშვილი, გივი ბარბაქაძე, ვახტანგ მინაშვილი, ზვიად ბაბაშვილი, დიმიტრი ფაცაცია*

ცენტრები: *ზაზა ფაჩულია, დავით უგრეხლიძე, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მთიაშვილი, ნიკა მეტრეველი, ლევან შენგელია, თორნიკე ნინაშვილი, სერგო ათუაშვილი*

ერვნული ნაკრების მწვრთნელთა საბჭო

ივორ კოკოშკოვი — *მთავარი მწვრთნელი*

ჯეისონ სტოდტი — *მთავარი მწვრთნელის ასისტენტი*

დავით უსტიაშვილი — *მთავარი მწვრთნელის ასისტენტი*

ავთო ბერიძე — *ფიზმომზადების მწვრთნელი*

თეიმურაზ ხვედელიძე — *ფიზიოთერაპევტი*

ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲨᲕᲔᲓᲣᲠ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 4:2 ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ

ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 2:3 ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ

0:1 1:1 1:1

0:1 რაფალსკი (6, უმრ. ზეტერბერგი, დაციუკი), 0:2 ფილპულა (29, სამუელსონი, კრუნვალი), 1:2 მალკინი (36, უმრ. კროსბი, ჰოსა), 1:3 ზეტერბერგი (48, დაციუკი, კრუნვალი), 2:3 გონჩარი (59, უმრ. მალკინი, ჰოსა)



ნიკლას ლიდსტრომმა სტენლის თასი NHL-ს კომისიონერ გარი ბეტმენიგან ჩაიბარა

„ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲛᲐ“ გუშინ გააკეთა ის, რაც სამი დღის წინ ვერ მოახერხა — „პიტსბურგის“ ბოლო იმედის შტურმს გაუძლო და სანუკვარ ჯილდოს ბოლო 12 წელიწადში მეოთხედ დაეუფლა. მიჩიგანური გუნდისთვის ეს მე-11 სტენლის თასია და ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ „მონრეალსა“ (24 თასი) და „ტორონტოს“ (13) ჩამორჩება.

„წითელფრთიანებმა“ კი არა მარტო მოიგეს, არამედ ჩრდილო ამერიკაში ჩამოყალიბებული რამდენიმე მოსაზრება გააბათილეს და მთელ ნჰლ-ს დაუმტკიცეს, რომ:

— პოსტ-ლოკაუტურ ერაშიც შეუძლიათ წარმატების მიღწევა;

— სტენლის თასი მარტო კანადელების სანუკვარი ჯილდო არ ყოფილა — ევროპელებსაც შეუძლიათ სულის და გულის ჩადება მის მოსაგებად;

— გუნდში ბლომად ევროპელის ყოლის მიუხედავადაც შესაძლებელი ყოფილა სტენლის თასის მოგება;

— ევროპული წარმოშობის კაპიტნითაც შეიძლება სანუკვარ მიზნამდე მისვლა;

დიახ, გუშინ „დეტროიტმა“ ბლომად მითები დაამსხვრია, რომელთაგან უმთავრესი მაინც ის იყო, რომ შვედი ნიკლას ლიდსტრომი პირველი ევროპელი კაპიტანი შეიქნა, რომელმაც სტენლის თასი ზეაღმართა. აქამდე ნჰლ-ის ისტორიაში მხოლოდ ერთი არა-კანადელი კაპიტანი იყო ეს რომ გაეკეთებინა (ამერიკელი დერენ ჰეტჩერი — „დალასის“ კაპიტანი 1999 წელს).

„ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. უაღრესად დიდი პატივია, რაც ამ გამარჯვებას კიდევ უფრო ძვირფასს ხდის“ — განაცხადა ნამატჩევს ლიდსტრომმა, რომლისთვისაც ეს მეოთხე მოგებული სტენლის თასი გახლავთ.

ლიდსტრომმა გუშინ მორიგი უნაკლო თამაში ჩაატარა და ისევ პირწმინდად ამოკეტა სიდნი კროსბი. და საერთოდ, მთლიანად „დეტროიტმაც“ კიდევ ერთი დომინანტური მატჩი ჩაატარა და მეტოქე ამკარად დაჯაბნა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას — სამი დღის წინ ეპიკური, სამოვერტაიმიანი შეხვედრის მოგებისა და სერიაში ჩამორჩენის მინიმუმამდე დაყვანის შემდეგ პიტსბურგში იმედოვნებდნენ, რომ მეტოქე ანერვიულდებოდა, რასაც მათთვის ხელ-ფეხი უნდა გაეხსნა.

თუმც „დეტროიტელ“ ვეტერანებს იმდენი აქვთ გამოვლილი და ნანახი, რომ მათ ნერვიულ სისტემაზე უკვე თითქმის აღარაფერი მოქმედებს. მათაც გუშინდელი შეხვედრა ისევე დაიწყეს, როგორც ყველა დანარჩენი — „პიტსბურგი“ მაქსიმალურად შებოჭეს და მარკ-ანდრე ფლერის კარს შემოეჯაჭვნენ. ჰოდა, წინა შეხვედრის გმირსაც მალევე მოუწია კარიდან შაიბის გამოტანა, როცა ბრაიან რაფალსკის გასროლილმა მიზანს უწია.

ასეთივე ჰოკეი გაგრძელდა მეორე პერიოდშიც, როდესაც „დეტროიტი“ ისევ აკონტროლებდა ვითარებას. მალე მიჩიგანელები ორი შაიბით დაწინაურდნენ, როცა ვალტერი ფილპულამ დამატებაზე კარგად ითამაშა. თუმც მასპინძლებმა ერთი გოლი გაქვითეს — მსაჯებმა პაველ დაციუკი ორი წუთით დაჯარიმეს, რითაც ევგენი მალკინმა ისარგებლა და ფინალურ სერიაში თავისი პირველი შაიბა გაიატანა.

მესამე პერიოდში მასპინძელთა გიჟური იერიშები იყო მოსალოდნელი, მაგრამ „დეტროიტმა“ პირველ 15 წუთში მეტოქეს თავისი კარისკენ მხოლოდ ერთხელ (!!!) დაარტყმევინა. სამაგიეროდ, თავისი საქმე გააკეთა ჰენრიკ ზეტერბერგმა, რომლის დარტყმულიც ფლერიმ უხერხულად მოიგერია და სანამ შაიბას დაინახავდა, შავი დისკო კარეში თავად შეაგდო. „პიტსბურგმა“ ბოლო შტურმი მაინც მოაწყო და მატჩის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე მარიან ჰოსამ პირთამდე გადავსებულ „მელონ არენას“ იმედი კიდევ ერთხელ ჩაუსახა.

თუმც ეს იყო და ეს — მეტს „ჰინგვინები“ ველარ გაწვდნენ. მხოლოდ ზედ საფინალო სირენის წინ გაისროლა კროსბიმ, მაგრამ კრის ოზგუდმა ესეც მოიგერია და... მომდევნო წამს „ოზი“ მისნაირად გახარებულ თანაგუნდელებთან ერთად ზეიმობდა.

პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული („კონ სმიტ ტროფი“) კი მეორე შვედს ჰენრიკ ზეტერბეგს გადაეცა და ენა არავის მოუბრუნდება თქვას, ეს უსამართლო იყო — შვედმა პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირისა (27 ქულა) და სნაიპერის (13 შაიბა) ტიტულები გაიყო, შესაბამისად კროსბისა და თანაგუნდელ იუჰან ფრანცენთან. პლუს ამას ზეტერბერგი ბრწყინვალე დაცვითი თამაშითაც გამოირჩა, რაც თუნდაც ფინალში გამოჩნდა, როცა მან პირწმინდად დაჩაგრა კროსბი.

სხვათა შორის, ზეტერბერგი მხოლოდ მეორე ევროპელია, რომელიც პლეი ოფის MVP-იდ დაასახელეს — პირველი კი ლიდსტრომი იყო, რომელმაც ეს ჯილდო 2002 წელს მოიგო.

„უბრალოდ ფუფუნებაა, როცა შენი საუკეთესო შემტევი მოთამაშე ერთ-ერთი საუკეთესო დამცველიცაა. ორი წელია ყველას ვუმტკიცებ, ზეტერბერგი ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი და ალბათ ყველაზე სრულყოფილი მოთამაშეა-მეოქი და იმედია, ამერიდან ამაში ეჭვი აღარავის შეეპარება“ — თავისი გუნდის ლიდერი ქებით ცაში აიყვანა „დეტროიტის“ დამრიგებელმა მაიკ ბებკოკმა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲮᲘᲚᲘ

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ MVP



ჰენრიკ ზეტერბერგი

1965	ჟან ბელივო (მონრეალი)
1966	როჟერ კროზიე (დეტროიტი)
1967	დეივ კეონი (ტორონტო)
1968	გლენ ჰოლი (სენტ ლუისი)
1969	სერჟ სავარი (მონრეალი)
1970	ბობი ორი (ბოსტონი)
1971	კენ დრაიდენი (მონრეალი)
1972	ბობი ორი (ბოსტონი)
1973	ივ კურნუაიე (მონრეალი)
1974	ბერნი პარენტი (ფილადელფია)
1975	ბერნი პარენტი (ფილადელფია)
1976	რეჯი ლიჩი (ფილადელფია)
1977	გი ლეფლერი (მონრეალი)
1978	ლარი რობინსონი (მონრეალი)
1979	ბობ გეინი (მონრეალი)
1980	ბრაიან ტროტიე (აილენდერსი)
1981	ბაჩ გორინგი (აილენდერსი)
1982	მაიკ ბოსი (აილენდერსი)
1983	ბილ სმიტი (აილენდერსი)
1984	მარკ მესიე (ედმონტონი)
1985	უეინ გრეცკი (ედმონტონი)
1986	პატრიკ რუა (მონრეალი)
1987	რონ ჰექსტალი (ფილადელფია)
1988	უეინ გრეცკი (ედმონტონი)
1989	ელ მაკინისი (კალგარი)
1990	ბილ რენფორდი (ედმონტონი)
1991	მარიო ლემიე (პიტსბურგი)
1992	მარიო ლემიე (პიტსბურგი)
1993	პატრიკ რუა (მონრეალი)
1994	ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი)
1995	კლოდ ლემიე (ნიუ ჯერსი)
1996	ჯო საკიკი (კოლორადო)
1997	მაიკ ვერნონი (დეტროიტი)
1998	სტივ აიზერმანი (დეტროიტი)
1999	ჯო ნიუენდაიკი (დალასი)
2000	სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი)
2001	პატრიკ რუა (კოლორადო)
2002	ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი)
2003	ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი)
2004	ბრედ რიჩარდსი (ტამპა)
2005	*სეზონი არ ჩატარებულა*
2006	კიმ უარდი (კაროლინა)
2007	სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი)
2008	ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი)

შენიშვნა: 2005 წელს ლოკაუტის გამო სეზონი არ ჩატარებულა; 1968, 1976, 1987 და 2003 წლებში ძმზ-ს წოდება ფინალში დამარცხებული გუნდების წევრებს მიენიჭათ

ᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ

მონრეალ კანადიენსი	24
ტორონტო მეიფლ ლივზი	13
დეტროიტ რედ ვინგზი	11
ოტავა სენატორსი	10
მონრეალ ვიქტორია	5
ბოსტონ ბრიუნზი	5
ედმონტონ ოილერსი	5
ნიუ იორკ რეინჯერსი	4
ნიუ იორკ აილენდერსი	4
მონრეალ AAA	3
მონრეალ უონდერერსი	3
ჩიკაგო ბლექ ჰოქსი	3
ნიუ ჯერსი დევილზი	3
კვებეკ ბულდოგზი	2
მონრეალ მარუნზი	2
ფილადელფია ფლაიერზი	2
პიტსბურგ პინგვინზი	2
კოლორადო ეველანში	2
მონრეალ შემროქსი	1
ვინიპეგ ვიქტორია	1
კენორ ტისტლზი	1
ტორონტო ბლუ ჩირტსი	1
ვანკუვერ მილიონარისი	1
სიეტლ მეტროპოლიტანსი	1
ვიქტორია კოუგარსი	1
კალგარი ფლეიმზი	1
დალას სტარზი	1
ტამპა ბეი ლაითინგზი	1
კაროლინა ჰარიკანზი	1
ანაჰაიმი დაქსი	1

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ: ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 27 (13+14); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 27 (6+21); მარიან ჰოსა (პიტსბურგი) 26 (12+14); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 23 (10+13); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 22 (10+12); იოჰან ფრენცენი (დეტროიტი) 18 (13+5); მაიკ რიბეირო (დალასი) 17 (3+14); რაიან მელოუნი (პიტსბურგი) 16 (6+10); დანიელ ბრიარი (ფილადელფია) 16 (9+7)

ᲒᲝᲚᲔᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘ: ზეტერბერგი, ფრენცენი 13-13; ჰოსა 12; დაციუკი, გალკინი, პიჯეი ამბერგერი (ფილადელფია) 10-10; ბრიარი, ბრენდენ მოროუ (დალასი) 9-9

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ: კროსბი 21; კრუნვალი 15; ჰოსა, რიბეირო, ზეტერბერგი 14-14; სერგეი გონჩარი (პიტსბურგი), დაციუკი 13-13; მალკინი, ბრედ რიჩარდსი (დალასი) 12-12

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲘ: ზეტერბერგი, კრონვალი 16-16; ბრედ სტიუარტი (დეტროიტი) 15; ფრენცენი, დაციუკი 13-13

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ

ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲒᲝᲚᲗᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ: კრის ოზგუდი (დეტროიტი) 1,55; მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი) 1,97; მარტი ტურკო (დალასი) 2,08; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,18; დენ ელისი (ნეშვილი) 2,52

ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐᲗᲐ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ: ელისი 93,8; ფლერი 93,3; ოზგუდი 93,0; ტურკო 92,2

ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ: ფლერი, ოზგუდი 14-14; ტურკო 10; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 9

ᲨᲐᲗᲐᲣᲢᲔᲑᲘ: ოზგუდი, ფლერი 3-3; კორი პრაისი (მონრეალი) 2

როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

ანა ივანოვიჩი

პარიზის სერბულ-რუსული

ქალები

ნახევარფინალი

დინარა საფინა (13, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 6:3 6:2; ანა ივანოვიჩი (2, სერბეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 3:6 6:4

„როლან გაროსის“ ტიტულს შაბათს ანა ივანოვიჩი და დინარა საფინა გაითამაშებენ. ფინალში გასაღწევად ერთსაც და მეორესაც გუშინ თანამემამულეთა მიჩოგვნა დასჭირდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე დერბი იყო, საცქერად მხოლოდ სერბული ჯახი ვარგოდა, რადგანაც რუსულში ბრძოლის ნატამალიც არ ყოფილა. საფინამ ძალიან იოლად მოუთავა საქმე სვეტალანა კუზნეცოვას, რისთვისაც მარატ საფინის უმცროსმა დამ საათნახევარი იმყოფინა. ჩვენში დარჩეს და ეს ფრიად მოულოდნელი გახლდათ, რადგანაც კუზნეცოვა ის მეტოქეე არაა, რომლის ადვილად გატეხვაც შეიძლება. თუმც საფინამ უფრო გამოცდილი და რეიტინგში თითქმის 10 საფეხურით მაღლა მდგომი თანამემამულე უპრობლემოდ მიჩოგნა, რაც თავად დინარასთვისაც მოულოდნელობა აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, გაცილებით საინტერესო საცქერი გამოდგა სერბული დუელი, რომელშიც მაყურებელმა ლამაზი, დახვეწილი და საინტერესო ჯახი იხილა. მართალია, ჩოგბურთელები აქაც ბევრს სცოდავდნენ, მაგრამ ამის პარალელურად შეხვედრაში ბლომად იყო ეშხიანი კომბინაციები, ზღვარსგადასული ემოციები და ეფექტური დარტყმები, რამაც მთლიანად გადაფარა მატჩის ყოველგვარი უარყოფითი მხარეები და ტრიბუნაზე შეყრილ თუ ტელემაყურებელს დიდი სიამოვნებაც მოგვარა.

მატჩი საკმაოდ უცნაური გამოვიდა, რადგანაც რაღაც ციკლური ხასიათი მიიღო — ჩოგბურთელები რიგ-რიგობით უმატებდნენ ტემპს და ინიციატივას მორიგეობით ეუფლებოდნენ, რის გამოც მატჩის ბედი მხოლოდ მესამე სეტის მიწურულს გაირკვა.

თავიდან უკეთ იანკოვიჩმა დაიწყო, რომელიც მალე დაწინაურდა, 3:0. ელენას 4:2-ც მიჰყავდა, მაგრამ აქ ივანოვიჩმა მაღალი სიჩქარეები ჩართო, რასაც იანკოვიჩი ვერ აჰყვა და ამიტომაც პარტიის მიწურული ანას დარჩა, რომელიც ზედიზედ ოთხი გეიმის აღების შემდეგ წინ გაიჭრა კიდეც.

მეორე სეტი უკვე ივანოვიჩმა დაიწყო უკეთ და ახლა ის დაწინაურდა 3:0, მაგრამ აქ იანკოვიჩის გმირობის ჯერი დადგა, რომელმაც პარტია სათავისოდ შეატრიალა, მოიგო რა ზედიზედ 6 გეიმი.

ლოგიკით უნდა ემარჯვა იმას, ვინც გადამწვეტ სეტს უარესად დაიწყებდა — ეგრეც მოხდა, რადგანაც ივანოვიჩმა უცბად წააგო საკუთარი მოწოდება და მეტოქეს დაწიანურების საშუალება მისცა, 2:0. აქ ანამ უკვე სიმძლავრეს უმატა — ეს სერბი ლამაზმანი უკანა ხაზიდან ისეთი ძალით უხათქუნებდა ბურთს, რომ იანკოვიჩს მხოლოდ მხრების დაბნეულად აჩეჩვაღა დარჩენოდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ივანოვიჩმა მაინც გატეხა თანამემამულე და პარიზში ზედიზედ მეორედ უწია ფინალს, სადაც წლეულს აშკარად ფავორიტი იქნება — მას ხომ ჟუსტინ ენინის მაგივრად დინარა საფინასთან მოუწევს დატაკება. აქამდე ამ ორ ჩოგბურთელს ერთმანეთში 3-ჯერ უთამაშია, რომელთაგან ორჯერ გამარჯვება ივანოვიჩს დარჩა. თან სერბს ძალებს ისიც შემატებს, რომ გუშინდელი მოგების შემდეგ მან რეიტინგში მარია შარაპოვას გადაასწრო და ორშაბათიდან ქალთა ჩოგბურთს სათავეში მოექცევა.

კახა ლომაშვილი



სერია მეოთხე. 1965
სელტიქსი 4:1 ლეიკერსი
ჰავლიჩეკმა რომ ბურთი მოიპარა



რედ აუერბახი ბილ რასელს მოძღვრავს

სეზონი სეზონს მისდევდა, მაგრამ „ბოსტონ სელტიქსის“ ტახტიდან ჩამოგდებას ვერავინ ახერხებდა. „კელტები“ რეგულარულში დასეირნობდნენ, ხოლო პლეი ოფში ჯერ ვიღაც შემთხვევით მეტოქეს დაამარცხებდნენ, აღმოსავლეთის ფინალში გოლიათი უილტ ჩემბერლენის „ფილადელფიას“ გაამწარებდნენ, ფინალში კი დასავლეთიდან ჯიუტად გასულ „ლეიკერსს“ წლიდან წლამდე უმტკიცებდნენ თავიანთ აღმატებას.

1964 წლის შემოდგომაზე „ბოსტონს“ ადმინისტრაციული პრობლემა შეექმნა. გარდაიცვალა კლუბის მფლობელი და მთავარი საქმეთგამრიგე უოლტერ ბრაუნი და მწვრთნელ რედ აუერბახს გუნდის დაგეშვასთან ერთად კისერზე დააწვა ქაღალდებიც და ტელეფონიც, მაგრამ მისი გუნდი იმდენად მტკიცე მასალისგან იყო ნაშენები, რომ თავად „კელტების“ თამაშს ეს არ დასტყობია. ეგაა, მოღლილი აუერბახი ცოტა ჩაცხრა და შეგირდთა დასამოძღვრად ისე ემოციურად აღარ წამოხტებოდა ხოლმე სკამიდან. თანაც გასვლით მატჩებში ფეხზე დადგომას არ აცდიდნენ და სტვენით „სვამდნენ“ მაყურებლები.

1965 პლეი ოფში „კელტებს“ კიდევ ერთი მძიმე ბრძოლა გადახდათ ჩემბერლენის რაზმთან. სწორედ მაშინ, მეშვიდე თამაშის ბოლო წამებზე გააკეთა ჯონ ჰავლიჩეკმა ისტორიული ჩაჭრა და ბოსტონელი სპორტული კომენტატორის ჯონი მოსტის ღრიალი — „ჰავლიჩეკმა ბურთი მოიპარა!!! Havlicek stole the ball!!!“ — დღემდე ყურებში უდგას ყველას, ვინც გაიგონა მისი გიჟური სიხარულიდან ამოხეთქილი ხავილი.

...ფინალში კი ისევ „ლეიკერსი“ იცდიდა, „სელტიქსთან“ უკვე მეოთხედ დამარცხებისთვის განწირული. თანაც ლოსანჯელესელებს დასავლეთის ფინალში დაემტვრათ შავკანიანი ლიდერი ელჯინ ბეილორი და მეორე ლიდერი ჯესი ვესტი დაბალი თანრიგის თანაგუნდელების ანაბარა დარჩა. ისინი ძალიან კი ინდომებდნენ, მაგრამ ბეილორს აბა, როგორ შეცვლიდნენ.

ფინალურიც „ლეიკერსის“ უმოწყალო რბევით დაიწყო. „სელტიქსმა“ სერიის სადებიუტო მატჩში 142:110 გაანადგურა თავჩაქინდრული მეტოქე, ბოსტონელმა სათადარიგომ კეისი ჯონსმაც კი 26 ქულა გააკეთა. „ლეიკერსის“ თავკაცი ფრენკ შაუსი ამ შავკანიან მოთამაშეს უჩიოდა — ჯერი ვესტის წინააღმდეგ ძალიან უხეშობდა და მაშინაც კი ეჯახებოდა, როცა გვერდის ავლა შეეძლო, მაგრამ გამარჯვებულები არავის გაუსამართლებია.

„ლეიკერსი“ მეორე თამაშისვის გონს მოვიდა და მხოლოდ ექვსი ქულით წააგო (ვესტმა 45 ქულა გააკეთა). მესამე, ლოსანჯელესურ ჯახში კი ვესტის 43 ქულის წყალობით ერთი წაგება გაქვითა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ლოსანჯელესელებმა აუერბახს ტრიბუნებიდან დააყარეს მისი საყვარელი სიგარები. მაგრამ ბოლოს ისევ აუერბახმა გაიცინა, ლოს ანჯელესში სერიის მეოთხე თამაში 13 ქულით მოაგებინა თავის გუნდს, ბოსტონში, მეხუთეში კი 33 ქულიანი გამარჯვებით ჩაუჭედა ბოლო ლურსმანი კუბოში. ვესტს საერთოდ ჩაუვარდა თამაში და „ლეიკერსმა“ მეორე ტაიმი 48:72 წააგო. ბოლო მეოთხედის ერთ 5-წუთიან მონაკვეთში „კელტებმა“ ქულაც არ ააღებინეს ლოსანჯელესელებს და ასე გადაუხადეს სამაგიერო სიგარების სროლისთვის.

ეს იყო „სელტიქსის“ ზედიზედ მეშვიდე ჩემპიონობა და აქედან სამჯერ „კელტებმა“ ფინალში „ლეიკერსი“ დატოვეს მშრალზე. ყველაფერი რომ დასრულდა, აუერბახმა გამოაცხადა, კიდევ ერთი სეზონიც და მწვრთნელობას შეევშვები, რათა გუნდის ადმინისტრაციას გავუძღვებიო. კაცი 50 წლის იყო და თავს 70 წლისად გრძნობდა, ისე გადაღლილიყო. ჰკითხეს, სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათო. „1 500-მდე თამაშის შემდეგ აბა, რა გაგახსენდება? მხოლოდ ის, რომ თითოეული მატჩის მოგება უდიდეს შრომად გვიჯდებოდა“ — მიუგო ლეგენდარულმა მწვრთნელმა.

ირაკლი ფირაშვილი

ზურაბ დუმბაძე ლიტველ ბრაზილიელთან ერთად

ქვეყნების თასები ახლებს

დღეს და ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე საქართველოს მძლეოსანთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება. ტურნირში 23 რაიონის 300-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას, ჩემპიონ-პრიზიორები კი მძლეოსნობის ყველა სახეობაში გამოვლინდებიან. გათამაშდება ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორების სახელობის 7 პრიზი, რომელთაგან სამს ვაჟები მიიღებენ, ხოლო ოთხს — გოგონები. გამარჯვებულ სპორტსმენებს ვიქტორ სანეევის, რობერტ შავლაყაძის, ლევან სანაძის, ნინო დუმბაძის, ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინას, საიდა გუმბასა და მაია აზარაშვილის სახელობის სპეციალური თასები გადაეცემათ.

საქართველოს ჩემპიონატი ეროვნული სტადიონის განახლებულ არენაზე დღეს, 16.00 საათზე დაიწყება.

ზურაბ მიგრიაული

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ბიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00